

კარდიოლოგიის თეორიული საფუძვლები

1. გულის მარჯვენა საბლვარი წარმოლგენილია:1). ზემო და ქვემო ღრუ ვენებით; 2). მარჯვენა პარკუჭით; 3). მარცხენა პარკუჭით; 4). მარჯვენა წინაგულით.

- ა) სწორია 1, 2;
- ბ) სწორია 1, 2, 3;
- *გ) სწორია 1, 4.

2. გულის წინა ზედაპირი ძირითადად წარმოლგენილია:

- ა) მარცხენა წინაგულით;
- ბ) მარცხენა პარკუჭით;
- *გ) მარჯვენა პარკუჭით;
- დ) მარჯვენა წინაგულით

3. გულის ქვედა ზედაპირის 2/3 წარმოლგენილია

- ა) მარცხენა წინაგულით;
- *ბ) მარცხენა პარკუჭით;
- გ) მარჯვენა პარკუჭით;
- დ) მარჯვენა წინაგულით

4. ატრიოვენტრიკულური (ორკარიანი და სამკარიანი) სარქველები იხურებიან:

- *ა) პარკუჭების სისტოლის პერიოდში, როდესაც პარკუჭების წნეეები გაუტოლდებიან წინაგულების წნეეებს (შეკუმშვის იზომეტრული ფაზის დასაწყისი);
- ბ) პარკუჭების სისტოლის პერიოდში, როდესაც პარკუჭების წნეეები გაუტოლდებიან პულმონურ და აორტულ დიასტოლურ წნეეებს (შეკუმშვის იზოტონური ფაზის დასაწყისი);
- გ) პარკუჭების დიასტოლის პერიოდში, როდესაც პულმონური და აორტული წნეეები გაუტოლდებიან პარკუჭების ენდ-დიასტოლურ წნეეებს;
- დ) სწორი პასუხი არ არის.

5. ნამგლისებრი სარქველები (აორტის და ფილტვის არტერიის) იხურებიან:

- ა) პარკუჭების სისტოლის პერიოდში, როდესაც პარკუჭების წნეეები გაუტოლდებიან წინაგულების წნეეებს (შეკუმშვის იზომეტრული ფაზის დასაწყისი);
- ბ) პარკუჭების სისტოლის პერიოდში, როდესაც პარკუჭების წნეეები გაუტოლდებიან პულმონურ და აორტულ დიასტოლურ წნეეებს (შეკუმშვის იზოტონური ფაზის დასაწყისი);
- *გ) პარკუჭების დიასტოლის პერიოდში, როდესაც პულმონური და აორტული წნეეები გაუტოლდებიან პარკუჭების ენდ-დიასტოლურ წნეეებს;
- დ) სწორი პასუხი არ არის.

6. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან სწორია:1). არტერიული სისტემა იწყება აორტით;2). რაც მეტია სისხლის წნევა არტერიაში, მით მეტია მის კედლებში ელასტიური ქსოვილის შემცველობა კუნთოვანთან შედარებით;3). არტერიული პულსის პალპაციის შესაძლებლობას განაპირობებს არტერიის კედლებში კუნთოვანი ქსოვილის არსებობა.

- ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;
- *ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 1, 3.

7. ქვემოთ ჩამოთვლილი სისხლძარღვებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ელასტიურ ბოჭკოებს შეიცავს:

- ა) სხივის არტერია;
- ბ) თირკმლის არტერია;
- *გ) აორტა;
- დ) ქვედა ღრუ ვენა;
- ე) ზედა ღრუ ვენა.

8. ქვემოთ ჩამოთვლილი სისხლძარღვებიდან ყველაზე სქელი კედელი აქვს:

- ა) ქვედა ღრუ ვენას;
- ბ) არტერიოლას;
- გ) საჩინო ვენებს;
- დ) ვენულას;
- *ე) იდაყვის არტერიას.

9. ქვემოთ ჩამოთვლილი ფორმულირებებიდან დიდი ვენების შესახებ არასწორია:

- ა) დიდ ვენებს აქვთ სარქველები;
- *ბ) მათი ელასტიური გარსი არტერიების ელასტიური გარსის იდენტურია;
- გ) მათი გარეთა გარსი (ადვენტიცია) შეიძლება შეიცავდეს გლუვ კუნთოვან უჯრედებს;
- დ) მათი მელა (შუა გარსი) შეიცავს ელასტიურ ბოჭკოებს;
- ე) მათი მელა (შუა გარსი) შეიცავს გლუვ კუნთოვან უჯრედებს.

10. პერიფერიულ ვენურ სისტემაში წარმოქმნილი თრომბი გამოიწვევს:

- ა) ცერებრულ თრომბოემბოლიას;

- ბ) კარდიალურ თრომბოემბოლიას;
- გ) პერიფერიულ თრომბოემბოლიას;
- *დ) პულმონურ თრომბოემბოლიას.

11. პულმონურ ვენებში ან გულის მარცხენა ნახევარში წარმოქმნილი თრომბი გამოიწვევს:1). ცერებრულ თრომბოემბოლიას; 2). კარდიალურ თრომბოემბოლიას; 3). პერიფერიულ თრომბოემბოლიას; 4). პულმონურ თრომბოემბოლიას.

- *ა) სწორია 1, 2, 3;
- ბ) სწორია 2, 3, 4;
- გ) სწორია 1, 4.

12. ამოირჩიეთ სწორი პასუხი, პერიკარდიუმი:1). გულის შემოგარსევი სტრუქტურაა;2). შედგება ფიბროზული და სეროზული შრეებისგან;3). მისი შიგნითა ფურცელი - ეპიკარდიუმი გარედან ეკვრის მიოკარდიუმს;4). მის შიგნითა ფურცელი შეიცავს ცხიმოვან ქსოვილსაც.

- *ა) სწორია 1, 2, 3, 4;
- ბ) სწორია 1, 2, 3;
- გ) სწორია 1, 4.

13. ამოირჩიეთ სწორი პასუხი, მიოკარდიუმი:1). გულის კუნთოვანი კედელია; 2). შეიცავს ორი გიპის კუნთოვან უჯრედებს;3). შეიცავს ფიბროზულ კარკასში "ჩასმულ" გულის კუნთს;4). ამოფენს გულის ღრუების სანათურს.

- ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;
- *ბ) სწორია 1, 3;
- გ) სწორია 2, 3, 4;
- დ) სწორია 1, 2.

14. ამოირჩიეთ სწორი პასუხი, გულის კუნთოვანი უჯრედები:1). ერთმანეთს უერთდებიან ჩადგმული დისკების საშუალებით;2). იკუმშებიან ავტომატურად (გარეგანი სტიმულის შემოქმედების გარეშე);3). ახასიათებთ ლაგოგვა; 4). აღენიშნებათ სუსტად განვითარებული სისხლძარღვები.

- *ა) სწორია 1, 2, 3;
- ბ) სწორია 2, 3, 4;
- გ) სწორია 1, 3, 4.

15. ქვემოთ მოყვანილი ლებულებებიდან სარკომერთან მიმართებაში სწორია ყველა ჩამოთვლილი გარდა:

- ა) სარკომერი შეკუმშვის ფუნქციური და სტრუქტურული ერთეულია;
- ბ) თითოეული სარკომერი შედგება მსხვილი (ძირითადად, მიოზინის შემცველი) და წვრილი (ძირითადად აქტინის შემცველი) მიოფილამენტებისაგან;
- *გ) სარკომერის სიგრძე უკუპროპორციულია გულის კუნთის სიგრძისა;
- დ) სარკომერების პერიოდულად განმეორებადი ერთობლიობა ქმნის მიოფიბრილებს.

16. ძირითად კუმშვად ცილებს მიეკუთვნებიან:1). მიოზინი; 2). ტროპომიოზინი; 3). ტროპონინი; 4). აქტინი.

- *ა) სწორია 1, 4;
- ბ) სწორია 2, 3;
- გ) სწორია 1, 3;
- დ) სწორია 2, 4.

17. რეგულატორულ ცილებს მიეკუთვნებიან:1). მიოზინი; 2). ტროპომიოზინი; 3). ტროპონინი; 4). აქტინი.

- ა) სწორია 1, 4;
- *ბ) სწორია 2, 3;
- გ) სწორია 1, 3;
- დ) სწორია 2, 4.

18. ქვემოთ მოყვანილი ლებულებებიდან სწორია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- *ა) შეკუმშვისას მსხვილი ფილამენტების სიგრძე არ იცვლება, წვრილი ფილამენტები კი მოკლდებიან;
- ბ) როგორც მოსვენების, ასევე შეკუმშვის პერიოდში ფილამენტების სიგრძე არ იცვლება;
- გ) შეკუმშვა ხორციელდება მიოზინის ძაფების გასწვრივ აქტინის ძაფების შეცურებით;
- დ) მიოზინის გააჩნია ენზიმური აქტივობა.

19. ქვემოთ მოყვანილი ლებულებებიდან სწორია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) გულის კუნთის კუმშვალობა ძირითადად განისაზღვრება სარკომერებში კალციუმის იონების ღონით;
- ბ) კალციუმის იონების ცილა ტროპონინთან მიერთება განაპირობებს აქტიმიოზინის კომპლექსის წარმოქმნას;
- *გ) კალციუმის იონების ცილა ტროპომიოზინთან მიერთება განაპირობებს აქტიმიოზინის კომპლექსის წარმოქმნას;
- დ) მიოკარდიუმის შეკუმშვის სიჩქარე დამოკიდებულია ატფ-ის ჰიდროლიზის სიჩქარეზე;
- ე) მიოკარდიუმის შეკუმშვის სიჩქარე დამოკიდებულია მაგნიუმის იონების ღონეზე.

20. ქვემოთ მოყვანილი ლებულებებიდან სწორია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) გულის კუნთის შეკუმშვის ძალა დამოკიდებულია მისი ბოჭკოების საწყის სიგრძეზე;
- ბ) სარკომერის სიგრძე განსაზღვრავს კუმშვადი სისტემის მგრძობილობას კალციუმის იონების მიმართ;
- გ) გულის კუნთის სარკომერის სიგრძე პირდაპირპროპორციულია გულის კუნთის სიგრძის;
- დ) გულის კუნთის საწყის სიგრძეზე შეკუმშვის ძალის დამოკიდებულება საფუძვლად უდევს ფრანკ-სტარლინგის კანონს;

*ე) სარკომერების პერიოდულად განმეორებადი ერთობლიობა ქმნის კუნთოვან ბოჭკოებს.

21. სისგოლური მოცულობა განისაზღვრება:1). პრელაგვირთვით (პარკუჭის საბოლოო-დიასგოლური მოცულობა);2). მიოკარდიუმის კუმშვადობით;3). პოსტლაგვირთვით (ძალა, რომელსაც ანეითარებს პარკუჭის კეღელი გულიდან სისხლის გაღმოსროლის დროს).

*ა) სამივე ფაქტორით;

ბ) სწორია 1, 2;

გ) სწორია 1, 3;

დ) სწორია 2, 3.

22. ქვემოთ მოყვანილი ღებულებებიდან სწორია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

ა) პრელაგვირთვის და მიოკარდიუმის კუმშვადობის გაზრდა იწვევს სისგოლური მოცულობის გაზრდას;

*ბ) პოსტლაგვირთვის გაზრდა იწვევს სისგოლური მოცულობის გაზრდას;

გ) არტერიული წნევა წარმოადგენს გულის წუთმოცულობის და პერიფერიული წინააღმდეგობის წარმოებულს;

დ) პოსტლაგვირთვის სიდიდე განისაზღვრება მარცხენა პარკუჭის ზომითა და არტერიული წნევის დონით.

23. ქვემოთ მოყვანილი ღებულებებიდან სწორია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

ა) სისხლის საშუალო წნევა განისაზღვრება ფორმულით $-\frac{1}{3}(\text{დიასგოლური}) + \frac{2}{3}(\text{პულსური})$;

*ბ) სისხლის საშუალო წნევა განისაზღვრება ფორმულით $-\frac{1}{3}(\text{სისგოლური}) + \frac{2}{3}(\text{პულსური})$;

გ) ფიზიკური დატვირთვისას ადგილი აქვს სისგოლური მოცულობის გაზრდას;

დ) ფიზიკური დატვირთვისას საბოლოო დიასგოლური მოცულობა არ იცვლება ან მცირდება;

ე) გაღმოსროლის ფრაქცია გამოითვლება სისგოლური მოცულობის შეფარდებით საბოლოო დიასგოლურ მოცულობასთან.

24. ფიზიკური დატვირთვისას გულის წუთმოცულობა იზრდება:

ა) გულის პარასიმპათიკური სტიმულაციის გაზრდის ხარჯზე;

ბ) პრელაგვირთვის შემცირების ხარჯზე;

გ) საბოლოო დიასგოლური მოცულობის შემცირების ხარჯზე;

დ) საშუალო არტერიული წნევის შემცირების ხარჯზე;

*ე) პარკუჭების კუმშვადობის გაზრდის ხარჯზე.

25. ქვემოთ ჩამოთვლილი ღებულებებიდან სწორია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

ა) ენდოკარდიუმი, გულის ღრუების ამომფენი შიგნითა გარსია;

ბ) ენდოთელიუმი გადადის გულში შემომავალ და გულიდან გამომავალი სისხლძარღვების შიგნითა გარსში (ინტიმაში);

*გ) ენდოთელიუმი სეროზული გარსია;

დ) სუბენდოკარდიულ, შემაერთებელქსოვილოვან გარსში მოთავსებული არიან ვენები, ნერვები და პურკინიეს ბოჭკოები.

26. ამოირჩიეთ სწორი პასუხი - კარდიული იმპულსის გენერირების უნარი გააჩნიათ:1). ატრიოვენტრიკულურ კვანძს; 2). სინოატრიულურ კვანძს; 3). ჰისის კონას; 4). სიმპათიკურ ნერვებს.

ა) ყველა ჩამოთვლილს;

ბ) სწორია 1, 2;

*გ) სწორია 1, 2, 3;

დ) სწორია 1, 2, 4.

27. ყველაზე დიდი არტერიებია:

*ა) ელასტიური ტიპის;

ბ) კუნთოვანი ტიპის;

გ) არტერიოლები;

დ) კუნთოვან-ელასტიური ტიპის.

28. კორონარული არტერიები მიეკუთვნებიან არტერიების შემდეგ ტიპს:

ა) ელასტიურს;

*ბ) კუნთოვანს;

გ) არტერიოლებს;

დ) კუნთოვან-ელასტიურს.

29. აორტა მიეკუთვნება არტერიების შემდეგ ტიპს:

*ა) ელასტიურს;

ბ) კუნთოვანს;

გ) არტერიოლებს;

დ) კუნთოვან-ელასტიურს.

30. ვენური სისტემის, როგორც პერიფერიული სისხლის რეზერვუარის როლი, ძირითადად, განისაზღვრება:

ა) ვენების კედლებში კუნთოვანი შრის არარსებობით;

ბ) ვენების არტერიებთან შედარებით უფრო ზედაპირული განლაგებით;

*გ) ვენური სისტემის დიდი ტევადობით;

დ) არტერიულთან შედარებით, ვენურ სისხლში უანგბადის დაბალი პარციალური წნევით.

31. ქვემოთ ჩამოთვლილი ღებულებებიდან სწორია:1). ელასტიურ არტერიებში შუა გარსი წარმოადგენს მხოლოდ ელასტიურ ბოჭკოებით;2). კუნთოვანი არტერიების გარეთა ელასტიურ ფირფიცას (external elastic lamina) ხორკლიანი ზედაპირი აქვს;3). კუნთოვან

არტერიებში შუა გარსი წარმოდგენილია მხოლოდ კუნთოვანი ბოჭკოებით;4). თითოეული ტიპის არტერია წარმოდგენილია ელასტიური და კუნთოვანი ბოჭკოების სხვადასხვა თანაფარდობით.

* ა) სწორია 2, 4;

ბ) სწორია 1, 2, 3;

გ) სწორია 2, 3.

32. ქვემოთ ჩამოთვლილი ღებულებებიდან რომელი მიესადაგება მეტარტერიოლების ცნებას;1). მეტარტერიოლები არტერიოლებიდან გამოძევილი დატოვებული სისხლძარღვებია;2). მათი შუა გარსი (tunica media) წარმოდგენილია არასრული კუნთოვანი შრით;3).

მეტარტერიოლიდან გამოსვლის ადგილას კაპილარს გარს აკრავს პრეკაპილარული სფინქტერი;4). მეტარტერიოლები უერთდებიან ვენებს.

* ა) სწორია 1, 2, 3;

ბ) სწორია 1, 3, 4;

გ) სწორია 2, 3, 4.

33. ქვემოთ ჩამოთვლილი ღებულებებიდან რომელი მიესადაგება კაროტიდული სინუსის ცნებას;1). კაროტიდული სინუსი მოთავსებულია საერთო საძილე არტერიის ბიფურკაციის ადგილას და მოქმედებს როგორც ბარორეცეპტორი;2). კაროტიდული სინუსი წარმოადგენს

გასქელებულ ადვენტიციას, რომელიც შეიცავს ნერვულ დაბოლოებებს;3). კაროტიდული სინუსი უანგბადის კონცენტრაციის რეგულატორია;4). კაროტიდული სინუსის თხელი შუა გარსი ადვილად რეაგირებს გაჭიმვაზე და არეგულირებს არტერიულ წნევას.

* ა) სწორია 1, 2, 4;

ბ) სწორია 2, 3, 4;

გ) სწორია 1, 3, 4.

34. კაროტიდული სინუსის გაღიზიანებისას;1). გულის ცემის სიხშირე იზრდება; 2). გულის ცემის სიხშირე მცირდება;3). არტერიული წნევა იმატებს; 4). არტერიული წნევა ქვეითდება;5). არცერთი მაჩვენებელი არ იცვლება.

ა) სწორია 1, 3;

ბ) სწორია 1, 4;

გ) სწორია 2, 3;

* დ) სწორია 2, 4.

35. არტერიული წნევის გაზრდას და გულის ცემის სიხშირის გაიშვიათებას ადგილი აქვს:

ა) ფიზიკური დატვირთვისას;

ბ) სხეულის ტემპერატურის მომატებისას;

გ) მაღალ მთაზე ასვლისას;

* დ) ინტრაკრანიალური წნევის მომატებისას.

36. ჩასუნთქვისას კლებულობს:

ა) მარჯვენა პარაკუჭის ავსება;

ბ) მარჯვენა პარაკუჭის წუთმოცულობა;

* გ) სისტემური არტერიული წნევა;

დ) მარცხენა პარაკუჭის კუმშვალობა.

37. არტერიული წნევა და გულის ცემის სიხშირე მაგულობს;1). ფიზიკური დატვირთვისას; 2). ჰიპოქსიის პირობებში;3). ინტრაკრანიალური წნევის მომატებისას;4). სინკოპეს განვითარებისას.

* ა) სწორია 1, 2;

ბ) სწორია 1, 3;

გ) სწორია 2, 3, 4.

38. არტერიული წნევა და გულის ცემის სიხშირე ქვეითდება:

ა) ფიზიკურ დატვირთვისას;

ბ) ჰიპოქსიის პირობებში;

გ) ინტრაკრანიალური წნევის მომატებისას;

* დ) სინკოპეს განვითარებისას.

39. ქვემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებებიდან ვამოპრესული აქტივობა აღენიშნება:

* ა) ანგიოტენზინ-II;

ბ) ანგიოტენზინ-I;

გ) რენინს;

დ) პროსტაგლიცინს;

ე) ყველა ჩამოთვლილს.

40. ჰიპერნატრიემიის შემთხვევაში:

* ა) რენინის სეკრეცია მცირდება;

ბ) ალდოსტერონის სეკრეცია იზრდება;

გ) ანგიოტენზინ II-ის სინთეზი იზრდება;

დ) ანგიოტენზინ I-ის სეკრეცია იზრდება.

41. რენინი სინთეზირდება:

* ა) იუქსტა-გლომერულური აპარატის უჯრედებში;

ბ) თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოვანი შრის უჯრედებში;

- გ) თირკმელზედა ჯირკვლის ტვინოვანი შრის უჯრედებში;
- დ) პანკრეასში;
- ე) ჰიპოფიზში.

42. რენინის სეკრეცია რეგულირდება:1). თირკმლის მომჩანი არტერიების ბარორეცეპტორებით;2). თირკმლის დისტალური მილაკების ქემორეცეპტორებით; 3). სიმპათო-ადრენალური სისტემით.

- *ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) სწორია 1, 3;
- გ) სწორია 2, 3.

43. რენინის აქტივობა მაგულობს:1). სისხლდენის განვითარებისას; 2). ჰიპოვოლემიის შემთხვევაში;3). დიეტაში სუფრის მარილის მიღების მკვეთრად შემლუღებისას;4). რენალური არტერიების სტენოზის განვითარებისას.

- *ა) ყველა შემთხვევაში;
- ბ) სწორია 1, 2, 3;
- გ) სწორია 2, 3, 4.

44. სისხლში ლიპიდების გრანსპორტი ხორციელდება:1). ცილებით; 2). სისხლის ფორმიანი ელემენტებით; 3). ნახშირწყლებით.

- ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) სწორია 1, 2.
- გ) სწორია 1, 3;
- დ) სწორია 2, 3;
- *ე) სწორია 1.

45. ფოსფოლიპიდები შედიან შემდეგი ლიპოპროტეინების შემადგენლობაში:1). ქილომიკრონების; 2). ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების;3). დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების; 4). მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების.

- *ა) ყველა ტიპის ლიპოპროტეინების;
- ბ) სწორია 1, 2, 3;
- გ) სწორია 1, 4;
- დ) სწორია 2, 3, 4.

46. სისხლში დიეტური ლიპიდების გრანსპორტი ხორციელდება შემდეგი ლიპოპროტეინების საშუალებით:

- *ა) ქილომიკრონების;
- ბ) ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების;
- გ) დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების;
- დ) მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების.

47. თრომბის წარმოქმნა მოიცავს შემდეგ საფეხურებს:1). თრომბოციტების აქტივაციას და აგრეგაციას;2). სისხლის შემლელებელი კასკადის გააქტივებას, რასაც მოყვება თრომბინის წარმოქმნა;3). თრომბინის მიერ ფიბრინოგენის ფიბრინად გარდაქმნას;4). ფიბრინის ძაფების ერთმანეთთან შეკავშირებას და ფიბრინის ბადის წარმოქმნას.

- *ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 2, 3;
- დ) სწორია 1, 2, 3.

48. ფიზიოლოგიურ პირობებში თრომბოციტული საცობის წარმოქმნა იწვევს:1). ქსოვილოვანი პლაზმინოგენის აქტივაციით პლაზმინოგენის პლაზმინად გარდაქმნას;2). პლაზმინის მიერ ფიბრინის ბადის დაშლას, რაც ეწინააღმდეგება კოლგის გაგრძელებას;3). თრომბოციტების აქტივაციას; 4). ფიბრინის ძაფების ერთმანეთთან შეკავშირებას.

- ა) ყველა ჩამოთვლილი;
- *ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 1, 3, 4;
- დ) სწორია 2, 4.

49. თრომბოციტების აქტივაციას ასტიმულირებს:1). პროსტაგლიკლინის ღონის დაქვეითება;2). ენდოთელიუმის დაზიანება და სუბენდოთელიური კოლაგენის "გამოშვება";3). თრომბოქსანების ღონის დაქვეითება.

- ა) ყველა ჩამოთვლილი;
- *ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 1, 3;
- დ) სწორია 2, 3.

50. თრომბოციტების აქტივაციას აინჰიბირებს:1). ინტაქტური ენდოთელიური უჯრედების მიერ სინთეზირებული პროსტაგლიკლინი;2). თრომბინის დაბალი ღონე; 3). თრომბოქსანების დაბალი ღონე.

- *ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 2, 3;
- დ) სწორია 1, 3.

51. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია სწორი:1). მიოგლობინი ჰემოპროტეინია, რომელიც გვხვდება მიოკარდიუმსა და ჩონჩხის კუნთებში;2). მიოგლობინის აღენიშნება გამოხატული ენზიმური აქტივობა;3). მიოგლობინი კუნთოვან უჯრედში ასრულებს

ქანგბადის რეზერვუარის და გადატანის ფუნქციებს;4). ჰემოგლობინის ნაკლებობისას მიოგლობინი ცირკულირებს სისხლში და ქანგბადით ამარაგებს ქსოვილებს.

- * ა) სწორია 1, 3;
- ბ) სწორია 1, 2, 4;
- გ) სწორია 1, 3, 4.

52. ქვემოთ მოყვანილი დებულებებიდან სწორია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) ქიმიური სიგნალის ბეჭა და ალფა² რეცეპტორებთან დაკავშირება იწვევს ფერმენტ ადენილილ-ციკლაზას გააქტივებას ან ინჰიბირებას;
- ბ) ფერმენტი ადენილილ-ციკლაზა ატფ-ს გარდაქმნის ციკლურ ამფ-ად;
- * გ) ციკლური ამფ იწვევს ე.წ. ცამფ-დამოკიდებული ფერმენტების გააქტივებას;
- დ) ციკლური ამფ ახდენს ე.წ. ცამფ-დამოკიდებული ფერმენტების ფოსფორილირებას, რაც იწვევს ამ ფერმენტების აქტივაციას ან ინჰიბირებას.

53. ე.წ. "მეორედ გადამცემ" სისტემას მიეკუთვნებიან ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) ციკლური ადენოზინ მონოფოსფატი (ცამფ);
- ბ) კალციუმი;
- * გ) ატფ;
- დ) ციკლური გუანოზინ მონოფოსფატი (ცგმფ);
- ე) აზოტის ოქსიდი (NO).

54. ქვემოთ მოყვანილი დებულებებიდან სწორია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) კალციუმის იონების და ცილა-კალმოდულინის კომპლექსი უერთდება და ააქტივებს ე.წ. კალმოდულინ-დამოკიდებულ ენზიმებს;
- * ბ) კალმოდულინ-დამოკიდებული ენზიმები შეიძლება გააქტივდნენ ცამფ-ის საშუალებითაც;
- გ) სტრუქტურულად და ფუნქციურად კალმოდულინი ჰგავს გროპონინ C-ს, რომელიც მონაწილეობს მიოკარდიუმის და ჩონჩხის კუნთების შეკუმშვის რეგულაციაში;
- დ) ადენილილ-ციკლაზა კალმოდულინ-დამოკიდებული ენზიმაა.

55. სისხლძარღვის სანათურიდან ინტერსტიციულ სივრცეში სითხის გადასვლას ადგილი აქვს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი მდგომარეობების დროს, გარდა:

- ა) პოსტკაპილარული ვენულების შევიწროებისას;
- ბ) პლაზმაში ალბუმინის კონცენტრაციის დაქვეითებისას;
- გ) ლიმფური ობსტრუქციის განვითარებისას;
- * დ) პრეკაპილარული არტერიოლების შევიწროებისას;
- ე) ბრადიკინინის აქტივობის გაზრდისას.

კვლევის ფიზიკალური მეთოდები კარდიოლოგიაში

56. ფიზიკური ლაგვირთვისას გულის წასვლის (სინკოპეს) განვითარება ყველაზე უფრო დამახასიათებელია:

- ა) აორტის ხერელის სტენოზისთვის;
- ბ) მიტრალური ხერელის სტენოზისთვის;
- * გ) ჰიპერტროფიული კარდიომიოპათიისთვის;
- დ) აორტული ნაკლოვანებისთვის;
- ე) მიტრალური ნაკლოვანებისთვის.

57. გულმკერდის არეში ტკივილის ინტენსივობის ცვალებადობა დაკავშირებული მოძრაობასთან, სუნთქვასთან, ხველებასა და ყლაპვასთან, დამახასიათებელია: 1). სტენოკარდიისთვის; 2). პერიკარდიისთვის; 3). პლევრიტისთვის; 4). კისრისა და გულმკერდის ოსტეოქონდროზისთვის.

- ა) ყველა ჩამოთვლილი პათოლოგიისთვის;
- ბ) სწორია 1, 2, 3;
- * გ) სწორია 2, 3, 4;
- დ) სწორია 2, 3.

58. სტენოკარდიული ხასიათის ტკივილი შეიძლება აღინიშნოს შემდეგი პათოლოგიების განვითარებისას: 1). აორტის განმშრეველი ანევრიზმის; 2). ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიის; 3). მწვავე პანკრეატიტის.

- * ა) ყველა შემთხვევაში;
- ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 1, 3;
- დ) სწორია 2, 3.

59. გულმკერდის არეში ტკივილი, ზურგში ირადიაციით, ყველაზე მეტად ახასიათებს:

- ა) სტენოკარდიას;
- ბ) მიოკარდიუმის ინფარქტს;
- * გ) აორტის განმშრეველ ანევრიზმას;
- დ) ბრონქოპნევმონიას;
- ე) სეპტიურ ენდოკარდიტს.

60. გულის ფრიალის შეგრძნებას უჩივიან ავადმყოფები 1). სინუსური ტაქიკარდიით; 2). ანემიით; 3). პაროქსიზმული ტაქიკარდიით.

- * ა) ყველა ჩამოთვლილი პათოლოგიით;

- ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 1, 3;
- დ) სწორია 2, 3.

61. ქოშინის უცაბელად განვითარება დამახასიათებელია ყველა ჩამოთვლილი პათოლოგიისათვის, გარდა:

- ა) ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია;
- ბ) ფილტვის მწვავე შეშუპება;
- გ) პნევმოთორაქსი;
- დ) გულის ტამპონადა;
- *ე) მიოკარდიუმის ინფარქტი.

62. მულემიო ხასიათის ქოშინი ახასიათებს:1). მარცხენა პარკუჭის უკმარისობას;2). გულის თანდაყოლილ მანკებს, მარჯვნიდან მარცხნივ შუნგით;3). ფილტვების ემფიზემას.

- *ა) ყველა ჩამოთვლილს;
- ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 1, 3;
- დ) სწორია 2, 3.

63. ქოშინის განვითარება წამოჯდომისას, რომელიც გაივლის ჰორიზონტალურ მდგომარეობაში გადასვლისას, ახასიათებს:

- ა) მიგრალურ სტენოზს;
- ბ) მიგრალურ ნაკლოვანებას;
- *გ) მარცხენა წინაგულის მიქსომას;
- დ) აორტულ სტენოზს;
- ე) ჰიპერტროფიულ თბსტრუქციულ კარდიომიოპათიას.

64. ცენტრალური ციანოზი, "ლოლის ჯოხისებური" თითები, მეტყველებს:1). გულის ან მსხვილი სისხლძარღვების ღონეზე მარჯვნიდან - მარცხნივ "შუნგის" არსებობაზე;2). გულის ან მსხვილი სისხლძარღვების ღონეზე მარცხნიდან - მარჯვნივ "შუნგის" არსებობაზე;3). ფილტვებში სისხლის არასაკმარის ოქსიგენაციაზე.

- ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;
- *ბ) სწორია 1, 3;
- გ) სწორია 2, 3.

65. კიღურების დისტალური ნაწილების ციანოზი, ცივი კანი და გაძლიერებული ოფლიანობა მეტყველებს:

- ა) გულის ან მსხვილი სისხლძარღვების ღონეზე მარჯვნიდან-მარცხნივ შუნგის არსებობაზე;
- *ბ) გულის მძიმე უკმარისობის არსებობისას, ვამოკონსტრიქციის განვითარებაზე;
- გ) მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარებაზე;
- დ) მარცხნიდან მარჯვნივ შუნგის არსებობაზე.

66. მარჯვენა და მარცხენა ხელებზე გაზომილ არტერიულ წნევებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა ახასიათებს:

- ა) კონის სინდრომს;
- ბ) პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტს;
- გ) ებშტეინის ანომალიას;
- *დ) არასპეციფიურ აორტოარტერიიტს;
- ე) ფალოს ტეტრადას.

67. ქვედა კიღურებზე, ზედა კიღურებთან შედარებით, დაბალი არტერიული წნევა ახასიათებს:

- ა) აორტის სარქველების ნაკლოვანებას;
- *ბ) მუცლის აორტის კოარქტაციას;
- გ) მიგრალურ სტენოზს;
- დ) არასპეციფიურ აორტოარტერიიტს.

68. სისტოლური არტერიული წნევის აწევა და დიასტოლური არტერიული წნევის დაქვეითება ახასიათებს ყველა ჩამოთვლილ დაავადებას, გარდა:

- ა) აორტის სარქველების ნაკლოვანებას;
- *ბ) სამკარიანი სარქველის ნაკლოვანებას;
- გ) ღია ბოტალოს სადინარს;
- დ) არტერიო-ვენურ შუნგებს;
- ე) ჰიპერთირეოზს.

69. ორტოსტაგიური ჰიპოტენზია და ტაქიკარდია მიუთითებს:

- ა) გულის უკმარისობის არსებობაზე;
- ბ) აორტის სარქველების ნაკლოვანებაზე;
- *გ) მოცირკულირე სისხლის მოცულობის შემცირებაზე.

70. მოსვენების მდგომარეობაში ტაქიკარდიის არსებობა მიუთითებს:

- ა) მოცირკულირე სისხლის მოცულობის შემცირებაზე;
- *ბ) მძიმე გულის უკმარისობის არსებობაზე;
- გ) ჰიპოთირეოზზე;

- დ) მიგრალური ნაკლოვანების არსებობაზე;
- ე) ჰიპერტროფიული კარდიომიოპათიის არსებობაზე.

71. ერთ-ერთი ქვემო კილურის იზოლირებული შეშუპება ვითარდება:

- ა) გულის უკმარისობის განვითარებისას;
- *ბ) ქვედა კილურების ვენების პათოლოგიების დროს;
- გ) კონსტრიქციული პერიკარდიტის შემთხვევაში;
- დ) ზემო ღრუ ვენის თბსტრუქციისას.

72. ქვემო კილურებთან შედარებით, სახის გამოხატული შეშუპება ვითარდება:1). გულის უკმარისობის განვითარებისას; 2). ქვედა კილურების ვენების პათოლოგიების დროს;3). კონსტრიქციული პერიკარდიტის შემთხვევაში; 4). ზემო ღრუ ვენის თბსტრუქციისას.

- ა) სწორია 1, 2, 3;
- ბ) სწორია 2, 3, 4;
- *გ) სწორია 3, 4.

73. შეშუპებასთან ერთად პალპაციის დროს მტკიცეულობა ახასიათებს:1). თრომბოფლებიგს; 2). ღრმა ვენების თრომბოზს; 3). გულის უკმარისობას.

- *ა) სწორია 1, 2;
- ბ) სწორია 1, 3;
- გ) სწორია 2, 3.

74. ქვემოთ მოყვანილი ღებულებებიდან სწორია:1). ცენტრალური არტერიული პულსის აღმავალი მუხლი (ანაკროტული ნაწილი) უფრო ციცაბოა დაღმავალ მუხლთან შედარებით;2). ცენტრალური არტერიული პულსის დაღმავალ მუხლზე (დიკროტულ ნაწილზე) აღინიშნება გამოხატული ჩაღრმავება - ინციზურა რომელიც შეესაბამება აორტული სარქველების დახურვას;3). პერიფერიული არტერიული პულსის დაღმავალი მუხლი ციცაბოა აღმავალთან შედარებით.

- ა) ყველა პასუხი სწორია;
- *ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 2, 3;
- დ) სწორია 1, 3.

75. საძილე არტერიების გაძლიერებული პულსაცია ახასიათებს ყველა ჩამოთვლილს, გარდა:

- ა) აორტული სარქველების ნაკლოვანებას;
- ბ) თირეოტოქსიკოზს;
- *გ) აორტის ხერელის სტენოზს;
- დ) მკვეთრ ანემიას.

76. საძილე არტერიების პულსის მრუდზე აღმავალი გალღის გახანგრძლივება (ნაკლებად გამოხატული ციცაბოვნება) ახასიათებს:

- ა) აორტული სარქველების ნაკლოვანებას;
- ბ) თირეოტოქსიკოზს;
- *გ) აორტული ხერელის სტენოზს;
- დ) მკვეთრ ანემიას.

77. მცირე პულსი (p. parvus) აღინიშნება:1). სისტოლური მოცულობის შემცირებისას; 2). დაბალი პულსური წნევის არსებობისას;3). სისხლძარღვთა პერიფერიული რემისცენტობის შემცირებისას.

- ა) ყველა შემთხვევაში;
- *ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 1, 3;
- დ) სწორია 2, 3.

78. დიდი პულსი (p. magnus) აღინიშნება:1). სისტოლური მოცულობის გაზრდისას; 2). დაბალი პულსური წნევის არსებობისას;3).

- სისხლძარღვთა პერიფერიული რემისცენტობის შემცირებისას.
- ა) ყველა შემთხვევაში;
- ბ) სწორია 1, 2;
- *გ) სწორია 1, 3;
- დ) სწორია 2, 3.

79. მცირე (p. parvus) და ნელი (p. tardus) პულსი ახასიათებს:

- ა) სამკარიათი სარქელის ნაკლოვანებას;
- ბ) მიგრალურ სტენოზს;
- *გ) აორტის ხერელის სტენოზს;
- დ) მიგრალური სარქელის ნაკლოვანებას;
- ე) აორტულ ნაკლოვანებას.

80. ქვემოთ მოყვანილი ღებულებებიდან დიკროტული პულსის შესახებ სწორია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) დიკროტული პულსის მრუდზე აღინიშნება ორი სისტოლური პიკი;
- ბ) დიკროტული პულსი აღინიშნება აორტის სარქელის ნაკლოვანების არსებობისას;
- გ) დიკროტული პულსი, ხშირად, აღინიშნება დილატაციური კარდიომიოპათიის დროს;
- *დ) დიკროტული პულსი აორტის ხერელის სტენოზის პათოგნომური ნიშანია.

81. ქვემოთ მოყვანილი ღებულებებიდან, საუღლე ვენის პულისის მრუდის შესახებ, სწორია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) საუღლე ვენის პულისის მრუდი ასახავს მარჯვენა წინაგულში წნევის ფაზურ ცვლილებებს;
- ბ) საუღლე ვენის პულისის მრუდი წარმოდგენილი 2 - 3 დაღებითი გაღლით და 2 ჩაღრმავებით;
- *გ) საუღლე ვენის პულისის მრუდი არ იცვლება გულის რიგმის და გამჭარებლობის დარღვევისას;
- დ) საუღლე ვენის პულისის მრუდი იცვლება სამკარიანი სარქელის ხერელის სტენომის, სამკარიანი სარქელის ნაკლოვანების და კონსტრიქციული პერიკარდიტის განვითარებისას.

82. ქვემოთ მოყვანილი ღებულებებიდან სწორია ყველა ჩამოთვლილი, გარდა: ცენტრალური ვენური წნევა

- ა) ჩვეულებრივ იმომება შიგნითა საუღლე ვენაზე;
- ბ) ყველაზე ხშირად იმაგებს მარჯვენა პარკუჭის დიასტოლური წნევის გამრდისას;
- გ) მოსვენების მდგომარეობაში შეიძლება ნორმალური იყოს მარჯვენა პარკუჭის უკმარისობის შემთხვევაშიც;
- *დ) ნორმაში ჩასუნთქვისას იმაგებს (დაღებითი ვენური პულსი).

83. ქვემოთ ჩამოთვლილი პათოლოგიებიდან დაღებითი ვენური პულსი ახასიათებს:

- ა) აორტის სარქელის ნაკლოვანებას;
- *ბ) სამკარიანი სარქელის ნაკლოვანებას;
- გ) მიგრალური სარქელის ნაკლოვანებას;
- დ) მიგრალურ სტენომს;
- ე) აორტულ სტენომს.

84. ქვემოთ მოყვანილი ღებულებებიდან სწორია ყველა ჩამოთვლილი გარდა:

- ა) ნორმაში მარცხენა პარკუჭის მწვერვალს საძგერი შეიგრძნობა IV-V ნეკნთაშუა სივრცეში მარცხენა მედიოკლავიკულური ხაზის ოდნავ მედიალურად;
- ბ) გულმკერდის წინა კედელზე მწვერვალს საძგერის დიამეტრი არ აღემაგება 3 სმ-ს;
- *გ) მწვერვალს საძგერის მდამოში, დიასტოლის პერიოდში, მიგრალური ხერელის სტენომის ან მიგრალური სარქელის ნაკლოვანებისას შეიგრძნობა ე.წ. დიასტოლური "კატის კრუტენი";
- დ) ნორმაში მწვერვალს საძგერის პიკი შეესაბამება აორტული სარქელის გაღებას.

85. გულის აბსოლუტური და შეღარებითი მოყრუების საზღვრების თანხვდენა ახასიათებს:

- *ა) ექსულაციურ პერიკარდიტს;
- ბ) კომბინირებულ მიგრალურ მანკს;
- გ) ექსულაციურ პლევრიტს;
- დ) ფილტვების ემფიზემას;
- ე) კომბინირებულ აორტულ მანკს.

86. I ტონი ძლიერდება: 1). ტაქიკარდიის განვითარებისას დიასტოლის ხანგრძლივობის შემცირების შედეგად; 2). სისტოლური მოცულობის გამრდისას; 3). მიგრალური ხერელის სტენომის დროს; 4). P-R ინტერვალის შემოკლებისას.

- *ა) ყველა შემთხვევაში;
- ბ) სწორია 1, 3, 4;
- გ) სწორია 2, 4.

87. I ტონი სუსტდება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში, გარდა:

- ა) ატრიოვენტრიკულური სარქელის დაზიანებისას;
- ბ) მარცხენა პარკუჭის კუმშვადი ფუნქციის დაქვეითებისას;
- გ) ატრიოვენტრიკულური სარქელის აფრების მოძრაობის შეზღუდვისას;
- დ) გულმკერდის წინა კედელში ბგერის გამჭარობის შესუსტებისას;
- *ე) P-R ინტერვალის შემოკლებისას.

88. ქვემოთ ჩამოთვლილი ღებულებებიდან სწორია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) I ტონის გახლენა მიგრალურ და ტრიკუსპიდულ კომპონენტებად, რომელთა შორის ინტერვალი 10-30 მწმ-ს შეადგენს ნორმალური მოვლენა;
- *ბ) I ტონის პირველი კომპონენტი შეესაბამება ტრიკუსპიდული სარქელის, მეორე კომპონენტი კი მიგრალური სარქელის დახურვას;
- გ) I ტონის მიგრალურ და ტრიკუსპიდულ კომპონენტებს შორის ინტერვალის გამრდა მისი შემადგენელი კომპონენტების თანმიმდევრობის შენარჩუნებით, ყველაზე ხშირად აღინიშნება ჰისის კონის მარჯვენა ფხის სრული ბლოკადის დროს;
- დ) I ტონის გახლენა მისი შემადგენელი კომპონენტების თანმიმდევრობის გაღანაცვლებით ყველაზე ხშირია მძიმე მიგრალური სტენომისა და მარცხენა წინაგულის მიქსომის დროს;
- ე) I ტონის გახლენა მისი შემადგენელი კომპონენტების თანმიმდევრობის გაღანაცვლებით შეიძლება აღინიშნოს ჰისის კონის მარცხენა ფხის სრული ბლოკადის არსებობისას.

89. II ტონის ე.წ. "ფიქსირებული გახლენის" ფენომენის დაფიქსირებას დიდი მნიშვნელობა აქვს შემდეგი პათოლოგიის დიაგნოსტიკისთვის:

- ა) მიგრალური სარქელის ნაკლოვანება;
- ბ) პარკუჭთაშუა ძგიდის ღეფექტი;
- *გ) წინაგულთაშუა ძგიდის გავრცელებული ღეფექტი;
- დ) აორტული ნაკლოვანება;
- ე) დია ბოტალის საღინარი

90. გულის II ტონის პარადოქსული გახლეჩა ასოცირებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ დაავადებასთან, გარდა:

- ა) აორტული სტენოზი;
- *ბ) ჰისის კონის მარჯვენა ფეხის ბლოკადა;
- გ) ჰისის კონის მარცხენა ფეხის ბლოკადა;
- დ) მარცხენა პარკუჭის იშემია;
- ე) ჰიპერტენზია.

91. II ტონის აქცენტი ფილტვის არტერიაზე მოისმინება შემდეგი პათოლოგიების დროს:

- *ა) პულმონური ჰიპერტენზიის;
- ბ) არტერიული ჰიპერტენზიის;
- გ) აორტის კედლების გასქელების (სკლეროზირების);
- დ) აორტის სარქველების გასქელების (სკლეროზირების);
- ე) ფილტვის არტერიის ხერელის სტენოზის.

92. II ტონის აქცენტი აორტაზე მოისმინება შემდეგი პათოლოგიების დროს: 1). პულმონური ჰიპერტენზიის; 2). არტერიული ჰიპერტენზიის; 3). აორტის კედლების გასქელების (სკლეროზირების); 4). აორტის სარქველების გასქელების (სკლეროზირების); 5). ფილტვის არტერიის სტენოზის.

- *ა) სწორია 2, 3, 4;
- ბ) სწორია 1, 4, 5;
- გ) სწორია 2, 3, 4, 5.

93. ქვემოთ მოყვანილი ლებულებებიდან III ტონის შესახებ სწორია:

- ა) III ტონი, ჩვეულებრივ შესუსტებულია გულის შეგუბებითი უკმარისობის დროს;
- *ბ) III ტონის წარმოქმნას განაპირობებს პარკუჭების სწრაფი ავსების ფაზაში სისხლის ტურბულენტური მოძრაობა;
- გ) III ტონის წარმოქმნას განაპირობებს წინაგულების შეკუმშვის შედეგად განვითარებული სისხლის ტურბულენტური მოძრაობა;
- დ) III ტონის წარმოქმნას განაპირობებს წინაგულთაშუა ძგიდის ლეფექტის არსებობა.

94. ქვემოთ მოყვანილი ლებულებებიდან III ტონის შესახებ სწორია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) ბავშვებში, ახალგაზრდებსა და ორსულებში III ტონის მოსმენა ნორმალური მოვლენაა;
- ბ) 40 წელს გადაცილებულ ადამიანებში III ტონის მოსმენა მიუთითებს პარკუჭების დიასტოლური ავსების სიჩქარის და მოცულობის გაზრდაზე;
- გ) მიტრალური სარქველის უკმარისობით განპირობებული III ტონი ყველაზე კარგად მოისმინება ამოსუნთქვისას, გულის მწვერვალზე, მარცხენა გვერდზე წოლისას;
- დ) სამკარიანი სარქველის უკმარისობით განპირობებული III ტონი ყველაზე კარგად მოისმინება ჩასუნთქვისას, მკერდის ძელის მარცხენა მხარეს, მახვილისებრ შორჩთან;
- *ე) გულის უკმარისობის ნიშნების კუპირების მიუხედავად, ჩვეულებრივ III ტონი მაინც მოისმინება.

95. ქვემოთ მოყვანილი ლებულებებიდან ე.წ. გალების ხმიანობის შესახებ, სწორია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) "გალების ხმიანობა" ყოველთვის მოისმინება მიტრალური ხერელის სტენოზის დროს;
- ბ) უფრო ხშირად, "გალების ხმიანობის" წარმოქმნის მიზეზი ორკარიანი სარქველის ნაკლოვანებაა;
- *გ) მიტრალური სარქველის "გალების ხმიანობა" ყველაზე კარგად მოისმინება მკერდის ძელის მარცხენა - ქვემო კიდესთან;
- დ) "გალების ხმიანობა" მოისმინება დიასტოლის პერიოდში, II ტონის შემდეგ.

96. IV ტონი შეიძლება მოვისმინოთ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პათოლოგიების არსებობისას, გარდა:

- ა) სისტემური არტერიული ჰიპერტენზიის;
- ბ) აორტული სტენოზის;
- *გ) მოციმციმე არიტმიის;
- დ) ჰიპერტროფიული კარდიომიოპათიის;
- ე) მიტრალური სარქველის მწვაველ განვითარებული ნაკლოვანების;
- ვ) მიოკარდიუმის ინფარქტის გადატანის შემდგომ.

97. ქვემოთ მოყვანილი ლებულებებიდან ე.წ. განღვენის ტონის შესახებ სწორია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) განღვენის ტონი მოისმინება სისტოლის დასაწყისში, უშუალოდ I ტონის შემდეგ;
- ბ) განღვენის ტონის აღმოცენების მიზეზი აორტისა და ფილტვის არტერიების სარქველების სტენოზი ან აორტისა და ფილტვის არტერიის დილატაციაა;
- გ) ანსხვავებენ აორტულ და პულმონურ განღვენის ტონებს;
- *დ) პულმონური განღვენის ტონი ძლიერდება ამოსუნთქვისას.

98. ფილტვისმიერი განღვენის ტონი სხვა მარჯვენამხრე აკუსტიკური ფენომენებისაგან განსხვავდება იმით, რომ ყველაზე კარგად მოისმინება: 1). მკერდის ძელის მარცხნივ მეორე ნეკნთაშუა სივრცეში; 2). ძლიერდება ამოსუნთქვისას; 3). ძლიერდება ჩასუნთქვისას.

- ა) სწორია 1, 3;
- ბ) სწორია 1, 3;
- *გ) სწორია 2.

99. ქვემოთ მოყვანილი ლებულებებიდან ატრიოვენტრიკულური სარქველების პროლაფსის შესახებ სწორია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) შეიძლება განვითარდეს როგორც მარცხენა, ასევე მარჯვენა ატრიოვენტრიკულური სარქველების პროლაფსი;
- ბ) ატრიოვენტრიკულური სარქველების პროლაფსის განვითარებისას ადგილი აქვს ე.წ. პროლაფსის ხმიანობების წარმოშობას;
- გ) პროლაფსის ტაკუნე შეიძლება მოვისმინოთ როგორც იმოლირებულად, ასევე გვიან სისტოლურ შუილთან ერთად;

დ) პროლაფსის ხშიანობები ყველაზე კარგად მოისმინება მწვერვალზე და მკერდის ძვლის მარცხენა - ქველა წერტილში;
*ე) მიგრალური პროლაფსის ხშიანობების ინტენსივობა და I ტონთან დამოკიდებულება არ იცვლება სხვადასხვა მანევრების საპასუხოდ.

100. ამოირჩიეთ სწორი პასუხი - ფორმის მიხედვით არჩევენ შემდეგი გიპის შუილებს:1). კრემჩენლოს; 2). ლეკრემჩენლოს; 3). რომბისებურს.
*ა) ყველა ჩამოთვლილს;
ბ) სწორია 1, 2;
გ) სწორია 2, 3.

101. ჩასუნთქვისას შუილის ინტენსივობის გამრდა მიგვანიშნებს:1). მარჯვენა აგრიოვენტრიკული სარქელის პათოლოგიაზე;2). მარცხენა აგრიოვენტრიკული სარქელის პათოლოგიაზე;3). ფილგვის არტერიის სარქელის პათოლოგიაზე; 4). აორტის სარქელის პათოლოგიაზე.
ა) სწორია 1, 2, 3;
*ბ) სწორია 1, 3;
გ) სწორია 2, 3, 4.

102. ვალსალვის სინჯის ჩატარებისას აღინიშნება სისტოლური შუილის გაძლიერება. რომელი დაავადების არსებობაზე შეიძლება მიუთითებდეს ეს ნიშანი:1). მიგრალური სარქელის ნაკლოვანების; 2). მიგრალური პროლაფსის;3). აორტული სარქელის ნაკლოვანების; 4). ჰიპერტროფიული კარდიომიოპათიის.
ა) ყველა ჩამოთვლილს;
ბ) სწორია 1, 2, 3;
*გ) სწორია 2, 4.

103. ამოირჩიეთ სწორი პასუხი - პანსისტოლური შუილი:1). აღმოცენდება I ტონთან ერთად და გრძელდება II ტონის დასასრულამდე;2). ძირითადად, კრემჩენლოს გიპისაა;3). შეიძლება განვითარდეს სამკარიანი ან ორკარიანი სარქელების ნაკლოვანებისას;4). ახასიათებს პარკუჭთაშუა ძგილის ლეფექტს.
ა) ყველა პასუხი სწორია;
ბ) სწორია 1, 2, 3;
გ) სწორია 1, 2, 4;
*დ) სწორია 1, 3, 4.

104. ამილნგრის ინჰალაციის შემდეგ აღინიშნა პანსისტოლური შუილის ინტენსივობის შემცირება, რომელი დაავადების არსებობაზე მიუთითებს ეს ნიშანი:1). ორკარიანი სარქელის ნაკლოვანების; 2). სამკარიანი სარქელის ნაკლოვანების; 3). პარკუჭთაშუა ძგილის ლეფექტს.
ა) ყველა ჩამოთვლილზე;
*ბ) სწორია 1, 3;
გ) სწორია 1, 2;
დ) სწორია 2, 3.

105. ქვემოთ მოყვანილი ღებულებებიდან მეზოსისტოლური შუილის შესახებ, სწორია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:მეზოსისტოლური შუილი
ა) აღმოცენდება I ტონის შემდეგ, მცირე ინტენსივობით;
ბ) ხშირად რომბისებური გიპისაა;
*გ) შეიძლება განვითარდეს აორტის ან ფილგვის არტერიის სარქელების ნაკლოვანების დროს;
დ) შეიძლება განვითარდეს სისტოლური მოცულობის გამრდისას (ინტაქტური სარქელების შემთხვევაში);
ე) შეიძლება აღმოცენდეს ღვრილისებური კუნთების დისფუნქციის შედეგად განვითარებული მიგრალური ან სამკარიანი სარქელის უკმარისობის შემთხვევაში.

106. ამილნგრის სინჯის ჩატარებისას აღინიშნა მეზოსისტოლური შუილის ინტენსივობის გამრდა, რომელი დაავადების არსებობაზე მიუთითებს ეს ნიშანი:1). ფილგვის არტერიის ხვრელის სტენოზი; 2). აორტის ხვრელის სტენოზი;3). მიგრალური სარქელის ნაკლოვანება; 4). სამკარიანი სარქელის ნაკლოვანება.
ა) ყველა ჩამოთვლილზე;
*ბ) სწორია 1, 2;
გ) სწორია 2, 3;
დ) სწორია 3, 4.

107. ამოირჩიეთ სწორი პასუხი - აღრეული სისტოლური შუილი:1). აღმოცენდება I ტონთან ერთად და გრძელდება შუა სისტოლამდე;2). დამახასიათებელია პულმონური ჰიპერტენზიის გარეშე მიმდინარე ორკარიანი სარქელის ნაკლოვანებისათვის;3). შეიძლება აღმოცენდეს პარკუჭთაშუა ძგილის მცირე ლეფექტის არსებობისას;4). შეიძლება აღმოცენდეს პულმონური ჰიპერტენზიით მიმდინარე პარკუჭთაშუა ძგილის დიდი ლეფექტის არსებობისას.
*ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;
ბ) სწორია 1, 2, 3;
გ) სწორია 2, 4.

108. ქვემოთ მოყვანილი ღებულებებიდან პრესისტოლური შუილის შესახებ სწორია:1). პრესისტოლური შუილის აღმოცენებისთვის აუცილებელი პირობაა სინუსური რიტმის არსებობა;2). შუილი აღმოცენდება წინაგულების დიასტოლის პერიოდში;3). სტენოზის ხარისხზე შუილის ხანგრძლივობაზე მეტად, მისი ინტენსივობა მეტყველებს;4). შუილი, ჩვეულებრივ, ლეკრემჩენლოს გიპისაა.
ა) სწორია 1, 2, 3;

- ბ) სწორია 2, 3, 4.
- *გ) სწორია 1;
- დ) სწორია 4.

109. ამოირჩიეთ სწორი პასუხი - მუდმივი (უწყვეტი სისტოლურ-დიასტოლური) შუილი:1). იწყება სისტოლაში, მაქსიმუმს აღწევს II ტონთან მიხლეობისას და გრძელდება მთელი დიასტოლის განმავლობაში;2). რომბისებური (კრემზენლო - ლეკრემზენლო) გიპისა;3). ვითარდება მამინ, როლესაც გულის მუშაობის მთელი ციკლის განმავლობაში აღვილი აქვს სისხლის შუნტირებას მაღალი წნევის არიდან (მაგ, აორტიდან) დაბალი წნევის არეში (მაგ, ფილგვის არტერიაში);4). ახასიათებს პარკუჭთაშუა ძგილის ლეფექტს.

- ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;
- *ბ) სწორია 1, 2, 3;
- გ) სწორია 2, 3;
- დ) სწორია 2, 3, 4.

110. უწყვეტი სისტოლურ-დიასტოლური შუილი ახასიათებს1). წინაგულთაშუა ძგილის ლეფექტს; 2). ებშტეინის ანომალიას;3). ღია ბოგალის საღინარს; 4).პარკუჭთაშუა ძგილის ლეფექტს.

- ა) სწორია 1, 2;
- ბ) სწორია 2, 3, 4;
- *გ) სწორია 3;
- დ) სწორია 1.

111. პერიკარდიუმის ხახუნის ხმიანობა უკეთესად მოსმინება:

- ა) სისტოლის პერიოდში;
- ბ) დიასტოლის პირველ ნახევარში;
- გ) დიასტოლის ბოლოს;
- *დ) ზუსტად არ ემთხვევა გულის მუშაობის არცერთ ფაზას და ზოგჯერ მოსმინება გულის მუშაობის ორივე ფაზაში.

112. ქვემოთ მოყვანილი ღებულებებიდან სწორია ყველა ჩამოთვლილი, გარდა: შუილისაგან განსხვავებით პერიკარდიუმის ხახუნის ხმიანობა

- ა) ზუსტად არ ემთხვევა გულის მუშაობის არცერთ ფაზას, ზოგჯერ მოსმინება როგორც სისტოლაში, ასევე დიასტოლაში;
- ბ) დროის ხანმოკლე მონაკვეთში შეიძლება მოვისმინოთ ხან სისტოლის, ხან დიასტოლის პერიოდში;
- გ) არამუდმივი ხასიათისაა, შეიძლება გაქრეს და შემდეგ კვლავ აღმოცენდეს;
- დ) არ ემთხვევა სარქველების მოსასმენ წერტილებს;
- *ე) სუსტდება სტეტოსკოპის დაჭერისას და სხეულის წინ გაღმობისას.

კლინიკური ელექტროკარდიოლოგია

113. მოსვენებით მდგომარეობაში გულის ყოველი უჯრედის:

- *ა) შიგნითა მელაპირი დამუხტულია უარყოფითად;
- ბ) შიგნითა მელაპირი დამუხტულია დადებითად;
- გ) შიგნითა მელაპირი დამუხტავია;
- დ) გარეთა მელაპირი დამუხტულია უარყოფითად;
- ე) გარეთა მელაპირი დამუხტავია.

114. მოსვენებულ მდგომარეობაში უჯრედის შიგნით:1). კალიუმის იონების კონცენტრაცია მეტია, ვიდრე უჯრედგარე სივრცეში;2). ნატრიუმის და კალციუმის კონცენტრაცია მეტია, ვიდრე უჯრედგარე სივრცეში;3). კალიუმის იონების კონცენტრაცია ნაკლებია, ვიდრე უჯრედგარე სივრცეში;4). ნატრიუმის და კალციუმის იონების კონცენტრაცია ნაკლებია ვიდრე უჯრედგარე სივრცეში.

- ა) სწორია 1, 2;
- ბ) სწორია 1, 3;
- *გ) სწორია 1, 4;
- დ) სწორია 2, 3.

115. მოქმედების გრანსმემბრანული პოტენციალის ყველაზე ხანმოკლე ფაზაა:

- *ა) 0;
- ბ) 1;
- გ) 2;
- დ) 3;
- ე) 4.

116. მოქმედების გრანსმემბრანული პოტენციალის ყველაზე ხანგრძლივი ფაზაა:

- ა) 0;
- ბ) 1;
- *გ) 2;
- დ) 3;
- ე) 4.

117. მოქმედების გრანსმემბრანული პოტენციალის "0" ფაზა განპირობებულია:

- ა) უჯრედში კალიუმის იონების შესვლით;
- *ბ) უჯრედის შიგნით ნატრიუმის იონების სწრაფი ნაკალით;

- გ) უჯრედის შიგნით კალციუმის იონების შესვლით;
- დ) უჯრედიდან კალციუმის იონების გამოსვლით;
- ე) უჯრედიდან ნატრიუმის იონების გამოსვლით.

118. მოქმედების გრანსმემბრანული პოტენციალის 2 ფაზა განპირობებულია:

- ა) უჯრედის შიგნით ნატრიუმის იონების სწრაფი შესვლით;
- *ბ) უჯრედის შიგნით ნატრიუმის და კალციუმის იონების ნელი ნაკალით;
- გ) უჯრედის შიგნით კალიუმის იონების შესვლით;
- დ) უჯრედიდან ქლორის იონების გამოსვლით;
- ე) უჯრედიდან ნატრიუმის იონების გამოსვლით.

119. იმპულსის გაგარების სინქარე განისაზღვრება: 1). მოქმედების გრანსმემბრანული პოტენციალის "0" ფაზის სინქარით და ამპლიტუდით; 2). მოსვენების გრანსმემბრანული პოტენციალის დონით; 3). მოქმედების გრანსმემბრანული პოტენციალის "2" ფაზის სინქარით.

- ა) ყველა ჩამოთვლილით;
- *ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 1, 3;
- დ) სწორია 2, 3.

120. იმპულსის გაგარების სინქარე ყველაზე ნაკლებია:

- *ა) AV კვანძში;
- ბ) პარკუჭების კუნთოვან უჯრედებში;
- გ) წინაგულეების კუნთში;
- დ) პურკინიეს სისტემაში.

121. იმპულსის გაგარების სინქარე ყველაზე მეტია:

- ა) AV კვანძში;
- ბ) პარკუჭების კუნთში;
- *გ) პურკინიეს სისტემაში;
- დ) წინაგულეების კუნთში.

122. AV კვანძი: 1). ახორციელებს იმპულსის გაგარების ფიზიოლოგიურ შეფერხებას, რაც განაპირობებს წინაგულეებსა და პარკუჭებში აგზნების ტალღის თანმიმდევრულ გავრცელებას; 2). ავტომატიზმის II რიგის ცენტრია; 3). ავტომატიზმის III რიგის ცენტრია.

- *ა) სწორია 1, 2;
- ბ) სწორია 1, 3.

123. შეფარდებითი რეფრაქტურობის პერიოდი შეესაბამება მოქმედების გრანსმემბრანული პოტენციალის:

- ა) 0, 1, 2, 3 ფაზებს;
- ბ) "2" ფაზას;
- *გ) "3" ფაზას;
- დ) 2, 3 ფაზებს.

124. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია სწორი წინაგულეებში აგზნების ტალღის გავრცელებასთან მიმართებაში: 1).

წინაგულეებში აგზნების ტალღის გავრცელების მიმართულებაა - ზევადან ქვევით და ოდნავ მარცხნივ; 2). წინაგულეებში აგზნების ტალღის გავრცელების ხანგრძლივობა 0,1 წმ-ს აღწევს; 3). წინაგულეებში აგზნების ტალღის გავრცელების სინქარე 1000 მმ/წმ-ია; 4). ჯერ აღიგზნება მარცხენა წინაგული, შემდეგ მარჯვენა და ბოლოს ორივე ერთად.

- ა) სწორია მხოლოდ 1, 2;
- ბ) სწორია 3, 4;
- *გ) სწორია 1, 2, 3.

125. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია სწორი AV კვანძში აგზნების ტალღის გავრცელებასთან მიმართებაში: 1). AV კვანძში აგზნების გავრცელების სინქარე მიოკარდიუმის სხვა ნაწილებთან შედარებით დაბალია და 200 მმ/წმ-ს შეადგენს; 2). 180-220 შეკ/წმ-ზე მეტად სინუსური ან წინაგულოვანი რიგის განხორციელებისას შეიძლება განვითარდეს ნაწილობრივი ატრიოვენტრიკულური ბლოკადა; 3). AV კვანძში ატრიოვენტრიკულური ბლოკადის განვითარებას (წინაგულეების რიგის 180-220 შეკ/წმ-ზე მეტად განხორციელებისას) დამცველობითი მნიშვნელობა აქვს; 4). 180-220 შეკ/წმ სისხლის წინაგულოვანი რიგის ფონზე ნაწილობრივი ატრიოვენტრიკულური ბლოკადა მხოლოდ იმ შემთხვევაში ვითარდება, თუ ერთდროულად აღინიშნება AV კვანძის დისფუნქცია.

- *ა) სწორია 1, 2, 3;
- ბ) სწორია 2, 3, 4;
- გ) სწორია 1, 4.

126. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია სწორი პარკუჭებში აგზნების ტალღის გავრცელებასთან მიმართებაში: 1). აგზნების ტალღის გავრცელების სინქარე პარკუჭების კუნთში - 400 მმ/წმ-ს, პურკინიეს სისტემაში კი 4000 მმ/წმ-ს შეადგენს; 2). ნორმაში აგზნება ორივე პარკუჭში 0,08-0,1 წმ-ში ვრცელდება; 3). პარკუჭების მიოკარდიუმში დეპოლარიზაციის ტალღა ვრცელდება ეპიკარდიუმიდან ენდოკარდიუმისკენ; 4). ჯერ აღიგზნება პარკუჭთაშუა ძგიდე, შემდეგ ორივე პარკუჭის უმეტესი ნაწილი (მწვერვალს, უკანა და გვერდითი კედლები), ბოლოს პარკუჭთაშუა ძგიდის და პარკუჭების ბაზალური ნაწილები.

- ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) სწორია 1, 2, 3;
- *გ) სწორია 1, 2, 4;

დ) სწორია 2, 3, 4.

127. ქვემოთ მოყვანილი დებულებებიდან სწორია:1). დეპოლარიზაციის ვექტორის მიმართულება ემთხვევა დეპოლარიზაციის მიმართულებას;2). დეპოლარიზაციის ვექტორის მიმართულება დეპოლარიზაციის მიმართულების საწინააღმდეგოა;3). რეპოლარიზაციის ვექტორის მიმართულება ემთხვევა რეპოლარიზაციის მიმართულებას;4). რეპოლარიზაციის ვექტორის მიმართულება რეპოლარიზაციის მიმართულების საწინააღმდეგოა.

ა) სწორია 1, 3;

*ბ) სწორია 1, 4;

გ) სწორია 2, 3;

დ) სწორია 2, 4.

128. სტანდარტული ეკგ განხრებია:1). ორპოლუსიანი განხრები კილურებიდან; 2). ერთპოლუსიანი განხრები კილურებიდან;3). გულმკერდის განხრები.

ა) ყველა ჩამოთვლილი;

ბ) სწორია ა, ბ;

*გ) სწორია 1;

დ) სწორია 3.

129. კოორდინატების ექვს ღერძიან სისტემაში (ბეილის მიხედვით) I განხრა მოთავსებულია:

*ა) ჰორიზონტალურად;

ბ) ვერტიკალურად;

გ) +30 გრადუსიანი კუთხით;

დ) -30 გრადუსიანი კუთხით.

130. კოორდინატების ექვს ღერძიან სისტემაში (ბეილის მიხედვით) avF განხრა მოთავსებულია:

ა) ჰორიზონტალურად;

ბ) ვერტიკალურად;

*გ) -30 გრადუსიანი კუთხით;

დ) +60 გრადუსიანი კუთხით.

131. კოორდინატების ექვს ღერძიან სისტემაში (ბეილის მიხედვით) II განხრა მოთავსებულია:

ა) ჰორიზონტალურად;

ბ) ვერტიკალურად;

*გ) +60 გრადუსიანი კუთხით;

დ) +30 გრადუსიანი კუთხით.

132. კოორდინატების ექვს ღერძიან სისტემაში (ბეილის მიხედვით) III განხრა მოთავსებულია:

ა) ჰორიზონტალურად;

ბ) ვერტიკალურად;

*გ) +120 გრადუსიანი კუთხით;

დ) -60 გრადუსიანი კუთხით.

133. avF განხრის ღერძი პერპენდიკულურია:

*ა) I განხრის;

ბ) II განხრის;

გ) III განხრის;

დ) avL განხრის.

134. avR განხრის ღერძი პერპენდიკულურია:

ა) I განხრის;

ბ) II განხრის;

*გ) III განხრის;

დ) avR განხრის.

135. გულის ელექტრული ღერძი ნორმულია, თუ ალფა კუთხე:

*ა) 30-69 გრადუსის ფარგლებშია;

ბ) 0-29 გრადუსის ფარგლებშია;

გ) 70-90 გრადუსის ფარგლებშია;

დ) 0-20 გრადუსის ფარგლებშია.

136. გულის ელექტრული ღერძი ჰორიზონტალურია, თუ ალფა კუთხე:

ა) 30-69 გრადუსის ფარგლებშია;

*ბ) 0-29 გრადუსის ფარგლებშია;

გ) 70-90 გრადუსის ფარგლებშია;

დ) 20-70 გრადუსის ფარგლებშია

137. გულის ელექტრული ღერძი გადახრილია მარჯვნივ, თუ ალფა კუთხე:

*ა) 91 - '180 გრადუსის ფარგლებშია;

- ბ) 0-29 გრადუსის ფარგლებშია;
- გ) 70-90 გრადუსის ფარგლებშია;
- დ) 0 - (-90) გრადუსის ფარგლებშია;
- ე) 0 - (-150) გრადუსის ფარგლებშია.

138. გულის ელექტრული ღერძი ნორმულია, თუ მაქსიმალური ამპლიტუდის R კბილი რეგისტრირდება:

- ა) I განხრაში;
- *ბ) II განხრაში;
- გ) III განხრაში;
- დ) avL განხრაში.

139. გულის ელექტრული ღერძი ვერტიკალურია, თუ მაქსიმალური ამპლიტუდის R კბილი რეგისტრირდება:

- ა) I განხრაში;
- ბ) II განხრაში;
- გ) III განხრაში;
- *დ) avF განხრაში.

140. გულის ელექტრული ღერძი ჰორიზონტალურია, თუ მაქსიმალური ამპლიტუდის R კბილი რეგისტრირდება:

- *ა) I განხრაში;
- ბ) II განხრაში;
- გ) III განხრაში;
- დ) avF განხრაში.

141. R კბილის ამპლიტუდა მაქსიმალურია II განხრაში, R=S კომპლექსი კი აღინიშნება avL განხრაში, ალფა კუთხე უდრის:

- ა) +30 გრადუსს;
- *ბ) +60 გრადუსს;
- გ) +90 გრადუსს;
- დ) 0 გრადუსს.

142. R კბილის ამპლიტუდა მაქსიმალურია avL განხრაში, R=S კომპლექსი კი აღინიშნება II განხრაში, ალფა კუთხე უდრის:

- ა) +30 გრადუსს;
- *ბ) -30 გრადუსს;
- გ) 0 გრადუსს;
- დ) +60 გრადუსს.

143. R კბილის ამპლიტუდა მაქსიმალურია avF განხრაში, R=S კომპლექსი კი აღინიშნება I განხრაში, ალფა კუთხე უდრის

- *ა) +90 გრადუსს;
- ბ) -30 გრადუსს;
- გ) 0 გრადუსს;
- დ) +60 გრადუსს.

144. R კბილის ამპლიტუდა მაქსიმალურია I განხრაში, R=S კომპლექსი კი აღინიშნება avF განხრაში, ალფა კუთხე უდრის

- ა) +90 გრადუსს;
- ბ) -30 გრადუსს;
- *გ) 0 გრადუსს;
- დ) +60 გრადუსს.

145. R კბილის ამპლიტუდა მაქსიმალურია III განხრაში, R=S კომპლექსი აღინიშნება avR განხრაში, ალფა კუთხე უდრის

- ა) +90 გრადუსს;
- ბ) -30 გრადუსს;
- *გ) +120 გრადუსს;
- დ) +60 გრადუსს.

146. R კბილის ამპლიტუდა მაქსიმალურია avR განხრაში, R=S კომპლექსი აღინიშნება III განხრაში, ალფა კუთხე უდრის

- ა) +90 გრადუსს;
- *ბ) -150 გრადუსს;
- გ) +120 გრადუსს;
- დ) +60 გრადუსს.

147. გულის მობრუნებისას განივი ღერძის გარშემო, მწვერვალით წინ, სტანდარტულ განხრებში QRS კომპლექსი იღებს:

- ა) RS(I), RS(II), RS(III) ფორმას;
- *ბ) qR(I), qR(II), qR(III), ფორმას;
- გ) qRS(I), qRS(II), qRS(III), ფორმას;
- დ) QRS(I), QRS(II), QRS(III) ფორმას.

148. გულის მობრუნებისას განივი ღერძის გარშემო, მწვერვალით უკან, QRS კომპლექსი იღებს:

- *ა) RS(I), RS(II), RS(III) ფორმას;
- ბ) qR(I), qR(II), qR(III), ფორმას;

- გ) qRS(I), qRS(II), qRS(III), ფორმას;
- დ) QRS(I), QRS(II), QRS(III) ფორმას.

149. ქვემოთ ჩამოთვლილი ღებულებებიდან სწორია:1). გულმკერდის განხრები ეწოდებათ ერთპოლუსიან ფრონტალურ განხრებს, რომელთა მისაღებად აქტიურ ელექტროდს ათავსებენ გულმკერდის ზედაპირზე განსაზღვრულ წერტილებში;2). გულმკერდის განხრები ეწოდებათ ორპოლუსიან განხრებს, როდესაც ორივე ელექტროდი მთავსებულია გულმკერდის ზედაპირზე;3). ნების განხრები ეწოდებათ ერთპოლუსიან ფრონტალურ განხრებს, რომელთა მისაღებად აქტიურ ელექტროდს ათავსებენ გულმკერდის ზედაპირზე განსაზღვრულ წერტილებში;4). ნების განხრები ეწოდებათ ორპოლუსიან განხრებს, როდესაც ორივე ელექტროდი მთავსებულია გულმკერდის ზედაპირზე.

- ა) სწორია 1, 3;
- *ბ) სწორია 1, 4;
- გ) სწორია 2, 3;
- დ) სწორია 2, 4.

150. ქვემოთ მოყვანილი ღებულებებიდან გულმკერდის განხრებთან მიმართებაში სწორია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- *ა) გულმკერდის განხრები საშუალებას გვაძლევს გულის მუშაობა შევაფასოთ საგიტალურ სიბრტყეში;
- ბ) ამ განხრების უარყოფით ელექტროდს ვილსონის ელექტროდი ეწოდება;
- გ) V1_V2 განხრები თავსდება მარჯვენა პარკუჭის პროექციაზე;
- დ) V3_V4 განხრები თავსდება პარკუჭთაშუა ძგიდის პროექციაზე;
- ე) V5_V6 განხრები თავსდება მარცხენა პარკუჭის პროექციაზე.

151. საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით, განივი ღერძის გარშემო გულის მობრუნების ეკგ ნიშნებია:1). V6 და I სტანდარტულ განხრაში QRS კომპლექსს RS ფორმა აქვს; 2). გარდამავალი ზონა (R=S) V3 განხრიდან გადაინაცვლებს V4_V5 განხრისკენ;3). V6 და I სტანდარტულ განხრაში QRS კომპლექსს qR ფორმა აქვს;4). გარდამავალი ზონა (R=S) V3 განხრიდან გადაინაცვლებს V2 განხრისკენ.

- *ა) სწორია 1, 2;
- ბ) სწორია 3, 4;
- გ) სწორია 1, 4;
- დ) სწორია 2, 3.

152. საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით, განივი ღერძის გარშემო გულის მობრუნების ეკგ ნიშნებია:1). V6 და I სტანდარტულ განხრაში QRS კომპლექსს RS ფორმა აქვს;2). გარდამავალი ზონა (R=S) V3 განხრიდან გადაინაცვლებს V4_V5 განხრისკენ;3). V6 და I სტანდარტულ განხრაში QRS კომპლექსს avR ფორმა აქვს;4). გარდამავალი ზონა (R=S) V3 განხრიდან გადაინაცვლებს V2 განხრისკენ.

- ა) სწორია 1, 2;
- *ბ) სწორია 3, 4;
- გ) სწორია 1, 4;
- დ) სწორია 2, 4.

153. ქვემოთ მოყვანილი ღებულებებიდან ე.წ. ღამაგებით განხრებთან მიმართებაში სწორია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) ღამაგებით განხრები გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც 12 განხრიანი ეკგ გამოკვლევა არასაკმარისად ინფორმატიულია;
- ბ) V7_V9 განხრები ვილსონის განხრებისაგან მხოლოდ აქტიური ელექტროდის გულმკერდის ზედაპირზე მთავსების ადგილების მიხედვით განსხვავდებიან;
- *გ) V7_V9 განხრები გამოიყენებიან მარცხენა პარკუჭის ქვედა კედლის ინფარქტების საღიაგნოსტიკოდ;
- დ) D, A და I ნების განხრებია, რომლებიც გამოიყენებიან მთიკარდიუმის კუროვანი ღამიანეების საღიაგნოსტიკოდ, შესაბამისად, მარცხენა პარკუჭის უკანა, წინა-გვერდით და წინა-ზემო ნაწილებში.

154. პრეკარდიალური კარგოგრაფია (35 გულმკერდის ერთპოლუსიანი განხრა) გამოიყენება:

- ა) პარკუჭშიდა გამგარებლობის დარღვევის ხასიათის დასაზუსტებლად;
- ბ) მარჯვენა პარკუჭის სავარაუდო ინფარქტის დიაგნოსტიკისთვის;
- *გ) მარცხენა პარკუჭის წინა კედლის ინფარქტების დროს მთიკარდიუმის ღამიანებული ნაწილის მოცულობის დასადგენად;
- დ) მარცხენა პარკუჭის ქვედა ინფარქტების დროს მთიკარდიუმის ღამიანებული ნაწილის მოცულობის დასადგენად.

155. ნორმაში P კბილის ამპლიტუდა:

- *ა) 1,5-2,5 მმ;
- ბ) 2,5-3,5 მმ;
- გ) 3,5-4 მმ;
- დ) 0,5-1,5მმ.

156. ნორმაში P კბილის ხანგრძლივობა აღწევს:

- *ა) 0,1 წმ;
- ბ) 0,12 წმ;
- გ) 0,14 წმ;
- დ) 0,20 წმ.

157. ნორმაში P კბილი ყოველთვის დაღებითია:1). I, II სტანდარტულ განხრებში; 2). avF განხრაში; 3). V2_V6 გულმკერდის განხრებში; 4). avL განხრაში.

- *ა) სწორია 1, 2, 3;
- ბ) სწორია 1, 3, 4.

158. ნორმაში P კბილი ყოველთვის უარყოფითია:

ა) I, II, III სტანდარტულ განხრებში;

*ბ) avR განხრაში;

გ) avR, V1 განხრებში;

დ) avR, avL, III განხრებში.

159. ნორმაში P კბილი:1). შეიძლება იყოს დადებითი, უარყოფითი და ორფაზიანი III და avL განხრებში;2). შეიძლება იყოს დადებითი და ორფაზიანი V1 განხრებში;3). შეიძლება იყოს დადებითი და ორფაზიანი V2 განხრებში;4). უარყოფითი და ორფაზიანი avR განხრაში.

*ა) სწორია 1, 2;

ბ) სწორია 1, 2, 3;

გ) სწორია 2, 4.

160. P კბილი ასახავს:1). წინაგულეების დეპოლარიზაციას; 2). წინაგულეების რეპოლარიზაციას;3). მარჯვენა წინაგულის დეპოლარიზაციას;4). მარცხენა წინაგულის დეპოლარიზაციას.

ა) სწორია 1, 2;

ბ) სწორია 2, 3, 4.

*გ) სწორია 1;

დ) სწორია 3.

161. ნორმაში P-Q(R) ინტერვალის ხანგრძლივობა:

ა) 0,08 - 0,12 წმ;

*ბ) 0,12 - 0,20 წმ;

გ) 0,10 - 0,20 წმ;

დ) 0,12 - 0,21 წმ.

162. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელი სწორი QRS კომპლექსთან მიმართებაში:1). QRS კომპლექსი წარმოდგენილია Q, R და S კბილებით და მათი ნებისმიერი კომბინაციით;2). Q არის R კბილის წინმდებარე უარყოფითი კბილი;3). R არის კომპლექსის დადებითი კბილი; 4). S არის R კბილის მომდევნო უარყოფითი კბილი.

*ა) ყველა პასუხი სწორია;

ბ) სწორია 1, 2, 3;

გ) სწორია 2, 3, 4.

163. ქვემოთ მოყვანილი დებულებებიდან R კბილთან მიმართებაში სწორია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

ა) V1_V2 განხრებში R კბილი ასახავს აგზნების ტალღის გავრცელებას პარაკუჭთაშუა ძგიდეში;

ბ) შინაგანი გადხრის ინტერვალის V6 განხრაში არ აღემატება 0,05 წმ-ს;

*გ) V4_V6 განხრებში R კბილი ასახავს აგზნების ტალღის გავრცელებას მხოლოდ მარცხენა პარაკუჭში;

დ) შინაგანი გადხრის ინტერვალის V1 განხრაში არ აღემატება 0,03 წმ-ს.

164. გულის ელექტრული ღერძის ნორმული მდებარეობისას:

*ა) RII>RI>RIII;

ბ) RI>RII>RIII;

გ) RIII>RII>RIII;

დ) RI>RIII>RII;

ე) RIII>RI>RII.

165. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია სწორი S კბილთან მიმართებაში:1). ნორმაში S კბილის ამპლიტუდა სხვადასხვა სხვადასხვა ეკგ განხრაში, მაგრამ არ აღემატება 20 მმ-ს;2). გულის ელექტრული ღერძის ნორმული მდებარეობისას, სტანდარტულ და გაძლიერებულ ერთპოლუსიან განხრებში ყველაზე მცირე ამპლიტუდის S კბილი აღინიშნება avR განხრაში;3). გულმკერდის განხრებში S კბილის ამპლიტუდა V1-დან V4 განხრაზე მცირდება, V5_V6 განხრაში კი შეიძლება საერთოდ არ ღარეგისტრირდეს.

ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;

ბ) სწორია 1, 2;

*გ) სწორია 1, 3;

დ) სწორია 2, 3.

166. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია სწორი T კბილთან მიმართებაში:1). T კბილის ამპლიტუდა სტანდარტულ და გაძლიერებულ ერთპოლუსიან განხრებში არ აღემატება 5-6 მმ-ს, ამასთან T(I)<T(III);2). T კბილი ასახავს პარაკუჭების რეპოლარიზაციას;3). T კბილის ხანგრძლივობა 0,16-0,24 წმ-ია.

ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;

ბ) სწორია 1, 2,

*გ) სწორია 2, 3.

167. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია მცდარი ექსტრასისტოლების ცნებასთან მიმართებაში:

ა) წინაგულოვანი და კვანძოვანი ექსტრასისტოლებს მოჰყვებათ არაკომპენსატორული პაუზა;

ბ) პარაკუჭოვანი ექსტრასისტოლებს მოჰყვებათ კომპენსატორული პაუზა;

*გ) წინაგულოვანი და კვანძოვანი ექსტრასისტოლები არ იწვევენ SA კვანძის მოქმედების რეგულარობის დარღვევას;

დ) პარაკუჭებში აღმოცენებული ექსტრასისტოლა არ არღვევს SA კვანძის რიტმს.

168. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია მცდარი ექსტრასისტოლების ცნებასთან მიმართებაში:

- ა) ერთი ექტოპური კერიდან აღმოცენებულ ნაადრევ შეკუმშვებს უნიფოკალური (მონოტოპური) ექსტრასისტოლები ეწოდებათ;
- ბ) ორი ან მეტი ექტოპური კერიდან აღმოცენებულ ნაადრევ შეკუმშვებს მულტიფოკალური (პოლიტოპური) ექსტრასისტოლები ეწოდებათ;
- *გ) მულტიფოკალური (პოლიტოპური) ექსტრასისტოლების კერები აუცილებლად გულის სხვადასხვა ნაწილში, მაგ წინაგულებსა და AV კვანძში, ან AV კვანძში და პარაკუტებში უნდა მდებარეობდნენ;
- დ) უნიფოკალურ ექსტრასისტოლებს ერთნაირი ხანგრძლივობის შეჭილების ინტერვალი ახასიათებთ, მულტიფოკალური ექსტრასისტოლების შეჭილების ინტერვალი კი განსხვავდება ერთმანეთისგან.

169. წინაგულოვანი ექსტრასისტოლის კრიტერიუმებია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) ნაადრევი, განსხვავებული კონფიგურაციის დადებითი P კბილი, რომელსაც მოსდევს დომინანტური რიგმის იდენტური QRS კომპლექსი;
- ბ) წინაგულოვან ექსტრასისტოლას მოსდევს არაკომპენსატორული პაუზა;
- გ) თუ ექტოპური P კბილი აღმოცენდა მეტისმეტად ნაადრევად, ის შეიძლება ვერ გაგარდეს პარაკუტებამდე (ბლოკირებული წინაგულოვანი ექსტრასისტოლა);
- *დ) ნაადრევი P კბილის ხანგრძლივობა აუცილებლად აღემატება 0,1 წმ-ს.

170. კვანძოვანი და წინაგულოვანი ექსტრასისტოლების განმასხვავებელი კრიტერიუმებია:

- ა) არაკომპენსატორული პაუზა;
- ბ) QRS კომპლექსის ფორმა და ხანგრძლივობა;
- *გ) P კბილის ფორმა და მისი დამოკიდებულება QRS კომპლექსთან;
- დ) შეჭილების ინტერვალის ხანგრძლივობა.

171. პარაკუტოვანი ექსტრასისტოლის კრიტერიუმებია:1). ნაადრევი, გაფართოებული, დეფორმული კონფიგურაციის QRS კომპლექსი;2). პარაკუტოვან ექსტრასისტოლას მოსდევს კომპენსატორული პაუზა;3). ექტოპური P კბილი უარყოფითია და მოჰყვება QRS კომპლექსს;4). ექტოპური P კბილის ხანგრძლივობა აღემატება 0,1 წმ-ს.

- *ა) სწორია 1, 2;
- ბ) სწორია 1, 3, 4.

172. ბლოკირებული წინაგულოვანი ექსტრასისტოლია, სინუსური არიგმიისგან განსხვავებით, ხასიათდება:1). სუნთქვის ფაზებთან დაკავშირებით რიგმის თანდათანობითი გახშირებით და გაიშვიათებით;2). პარაკუტოვანი პაუზის უეცარი განვითარებით;3). მოკლე და გრძელი R-R და P-Q(R) ინტერვალების მონაცვლეობით.

- ა) სწორი 1, 2;
- ბ) სწორია 1, 3;
- გ) სწორია 2, 3.
- *დ) სწორია 2;
- ე) სწორია 1.

173. სინუსური ტაქიკარდიის კრიტერიუმებია:1). გულის რიგმის გახშირება 100-180 შეკ/წთ-მდე; 2). სწორი სინუსური რიგმის შენარჩუნება;3). P-Q(R) ინტერვალების ცვალებადობა.

- ა) ყველა ჩამოთვლილი;
- *ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 1, 3;
- დ) სწორია 2, 3.

174. სინუსური ბრადიკარდიის კრიტერიუმებია:1). გულის რიგმის გაიშვიათება 59-40 შეკ/წთ-მდე; 2). სწორი სინუსური რიგმის შენარჩუნება; 3). P-Q(R) ინტერვალების ცვალებადობა.

- ა) ყველა ჩამოთვლილი;
- *ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 2, 3;
- დ) სწორია 1, 3.

175. სინუსური არიგმიის კრიტერიუმებია:1). სუნთქვის ციკლთან დაკავშირებით R-R ინტერვალების მერყეობა 0,15 წმ-ზე მეტად;2). არარეგულარული 100-125 შეკ/წთ სიხშირის სინუსური რიგმი;3). P-Q(R) ინტერვალის მუდმივობა.

- ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) სწორია 1, 2;
- *გ) სწორია 1, 3;
- დ) სწორია 2, 3.

176. სინუსის კვანძის სისუსტის სინდრომის კრიტერიუმებია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) მდგრადი სინუსური ბრადიკარდია;
- ბ) პერიოდულად არიგმიების განვითარება;
- გ) სინოატრიალური ბლოკადის არსებობა;
- *დ) ატრიო-ვენტრიკულური ბლოკადის არსებობა;
- ე) ტაქიკარდია-ბრადიკარდიის სინდრომი.

177. სუპრავენტრიკულური რიგმის წამყვანის მიგრაციის კრიტერიუმებია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

- *ა) რიგმის გახშირება 100-200 შეკ/წთ-მდე;
- ბ) ციკლიდან ციკლამდე P კბილის ფორმისა და პოლარობის თანდათანობითი შეცვლა;
- გ) P-Q(R) და R-R ინტერვალების ცვალებადობა;

დ) QRS კომპლექსის ფორმა ისეთივეა, როგორც რეგულარული კარდიალური რიგის დროს.

178. პაროქსიზმული წინაგულოვანი ტაქიკარდიის კრიტერიუმებია:1). ერთმანეთის მიყოლებით აღმოცენებული 4-6 ან მეტი წინაგულოვანი ექსტრასისტოლა რეგულარული P-P ციკლით - 140-220 შკ/წთ;2). QRS კომპლექსის ფორმა ისეთივეა, როგორც რეგულარული კარდიალური რიგის დროს;3). თუ წინაგულების რიგში ხშირია, ყველა წინაგულოვანი იმპულსი შეიძლება ვერ გაგარდეს პარაკუტებად (პაროქსიზმული წინაგულოვანი ტაქიკარდია ბლოკადით).

*ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;

ბ) სწორია 1, 2;

გ) სწორია 1, 3;

დ) სწორია 2, 3.

179. მულტიფოკალური წინაგულოვანი ტაქიკარდიის კრიტერიუმებია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

ა) ერთმანეთის მიყოლებით აღმოცენებული 4-6 ან მეტი წინაგულოვანი ექსტრასისტოლა არათანაბარი P-P ციკლით და ცვალებადი P-Q ინტერვალებით, შუკუმშვის სიხშირით 100/200 წთ-ში;

ბ) P კბილის ფორმის ცვალებადობა;

გ) ზოგიერთი წინაგულოვანი ექსტრასისტოლა შესაძლოა არ გაგარდეს პარაკუტებად;

დ) QRS კომპლექსის ფორმა ისეთივეა, როგორც რეგულარული კარდიალური რიგის დროს;

*ე) P-P და P-R ინტერვალების ცვალებადობა დაკავშირებულია სუნთქვის ფაზებთან.

180. წინაგულების თრთოლვის კრიტერიუმებია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

ა) წინაგულებში არსებული რომელიმე ერთი ექტოპიური კერა აღიგზნება მაღალი - 220-350 იმპ/წთ სიხშირით;

*ბ) პარაკუტოვანი პასუხი აუცილებლად არარეგულარულია;

გ) QRS კომპლექსის ფორმა ისეთივეა, როგორც რეგულარული კარდიალური რიგის დროს;

დ) პარაკუტოვანი პასუხი შეიძლება იყოს რეგულარული - 1:1, 2:1, 3:1 და ა.შ.

181. წინაგულების ციმციმის კრიტერიუმებია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

*ა) წინაგულებში არსებული რომელიმე ერთი ექტოპიური კერა აღიგზნება მაღალი- 350-650 იმპ/წთ სიხშირით;

ბ) QRS კომპლექსის ფორმა ისეთივეა, როგორც რეგულარული კარდიალური რიგის დროს;

გ) ციმციმის მსხვილი (F) ან წვრილი (f) ტალღები ცვლიან P კბილებს;

დ) პარაკუტოვანი რეაქცია უკიდურესად არარეგულარულია.

182. ტაქსისტოლური ფორმის მოციმციმე არიგმიის და წინაგულოვანი ტაქიკარდიის დიფერენცირებისას წინაგულოვანი ტაქიკარდიის სასარგებლოდ მეტყველებს:1). რეგულარული R-R ციკლი; 2). P კბილის არსებობა; 3). სწრაფი პარაკუტოვანი რიგში; 4). QRS კომპლექსის დეფორმულობა.

ა) ყველა ჩამოთვლილი;

*ბ) სწორია 1, 2;

გ) სწორია 2, 3, 4;

დ) სწორია 2, 3.

183. სინუსური და წინაგულოვანი ტაქიკარდიების დიფერენცირებისთვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმებია:1). გულის შუკუმშვის სიხშირის გამრდა 100 შკ/წთ და მეტად;2). უნიფოკალური P კბილები, რეგულარული P-P ციკლით;3). ნორმალური ფორმისა და ხანგრძლივობის QRS კომპლექსები.

ა) სწორია 1, 2;

ბ) სწორია 2, 3;

*გ) სწორი პასუხი არ არის.

184. გამომხტარი კვანძოვანი რიგის კრიტერიუმებია:1). ერთმანეთის მიყოლებით აღმოცენებული 4-6 ან მეტი გამომხტარი კვანძოვანი შუკუმშვა რეგულარული, წუთში 60 შუკუმშვაზე ნაკლები სიხშირით;2). QRS კომპლექსი ნორმალური, კარდიალური რიგის დროს არსებული კომპლექსის მსგავსია;3). QRS კომპლექსი შეიძლება დეფორმული და გახანგრძლივებული იყოს.

ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;

*ბ) სწორია 1, 2;

გ) სწორია 1, 3.

185. კვანძოვანი ტაქიკარდიის კრიტერიუმებია:1). ერთმანეთის მიყოლებით აღმოცენებული 4-6 ან მეტი კვანძოვანი ექსტრასისტოლა წუთში 100 შუკუმშვაზე მეტი სიხშირით;2). QRS კომპლექსის ფორმა ნორმალური კარდიალური რიგის დროს არსებული კომპლექსის მსგავსია;3). QRS კომპლექსი შეიძლება დეფორმული და გახანგრძლივებული იყოს;4). ერთმანეთის მიყოლებით აღმოცენებული 4-6 ან მეტი კვანძოვანი ექსტრასისტოლა 60-100 შუკ/წთ სიხშირით.

*ა) სწორია 1, 2;

ბ) სწორია 1, 3;

გ) სწორია 2, 4;

დ) სწორია 3, 4.

186. ბრადისისტოლური ფორმის, წერილგაღლოვანი მოციმციმე არიგმიისა და გამომხტარი კვანძოვანი რიგის დიფერენცირებისას კვანძოვანი რიგის სასარგებლოდ მეტყველებს:

ა) შეუცვლელი QRS კომპლექსი;

*ბ) თანაბარი R-R ციკლი;

გ) I ხარისხის აგრიოვენტრიკულური ბლოკადის ნიშნები;

დ) პისის კონის მარცხენა ფეხის ბლოკადის ნიშნები;

ე) მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტროფიის ნიშნები.

187. გამომხატარი პარკუჭოვანი რიგმის კრიტერიუმებია:1). ერთმანეთის მიყოლებით აღმოცენებული 4-6 ან მეტი პარკუჭოვანი ექსტრასისტოლა რეგულარული 40 შეკ/წთ და ნაკლები სიხშირით;2). გაფართოებული და დეფორმული QRS კომპლექსები;3). ექტოპიური P კბილის არ არსებობა;4). შეიძლება აღინიშნოს ნორმალური კარდიული რიგმის მსგავსი QRS კომპლექსების აღმოცენება.

*ა) სწორია 1, 2, 3;

ბ) სწორია 1, 2, 4;

გ) სწორია 2, 3, 4.

188. აჩქარებული პარკუჭოვანი რიგმის კრიტერიუმებია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

ა) ერთმანეთის მიყოლებით აღმოცენებული 4-6 ან მეტი პარკუჭოვანი ექსტრასისტოლა რეგულარული 40-100 შეკ/წთ სიხშირით;

*ბ) ერთმანეთის მიყოლებით აღმოცენებული 4-6 ან მეტი პარკუჭოვანი ექსტრასისტოლა არარეგულარული 40-100 შეკ/წთ სიხშირით;

გ) გაფართოებული და დეფორმული QRS კომპლექსები;

დ) ექტოპიური P კბილის არ არსებობა.

189. პარკუჭოვანი ტაქიკარდიის კრიტერიუმებია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

ა) ერთმანეთის მიყოლებით აღმოცენებული 4-6 ან მეტი პარკუჭოვანი ექსტრასისტოლა რეგულარული 100 შეკ/წთ და მეტი სიხშირით;

ბ) გაფართოებული და დეფორმული QRS კომპლექსები;

*გ) ერთმანეთის მიყოლებით აღმოცენებული 4-6 ან მეტი პარკუჭოვანი ექსტრასისტოლა არარეგულარული 100 შეკ/წთ და მეტი სიხშირით;

დ) ექტოპიური P კბილის არ არსებობა.

190. პარკუჭების ციმციმის კრიტერიუმებია:1). პარკუჭებში არსებული 1 ან მეტი ექტოპიური კერა აღიგზნება რეგულარული 150-300 შეკ/წთ სიხშირით;2). პარკუჭებში არსებული მრავალი ექტოპიური კერა აღიგზნება რეგულარული 150-500 იმპ/წთ სიხშირით;3). პარკუჭებში არსებული მრავალი ექტოპიური კერა აღიგზნება ქაოსური რიგმით 150-500 იმპ/წთ სიხშირით;4). არ ფიქსირდება არც წინაგულთა აქტივობა და არც QRS კომპლექსები და მათთან ასოცირებული ST-S კბილები.

ა) სწორია 1, 2;

ბ) სწორია 2, 4;

*გ) სწორია 3, 4.

191. ქვემოთ მოყვანილი დებულებებიდან სწორია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

ა) AV-დისოციაციის განვითარებისას ადგილი აქვს ორი დამოუკიდებელი რიგმის წამყვანის ფუნქციონირებას, რომელთაგან ერთი (ლომინანტური) მათავსებელია AV კვანძში ან პარკუჭებში, მეორე კი სინოატრიალურ კვანძში ან წინაგულეებში;

ბ) AV დისოციაციის არსებობისას წინაგულეების და პარკუჭების შეკუმშვის სიხშირე ან იდენტურია, ან პარკუჭები იკუმშებიან უფრო მაღალი რიგმით;

გ) სრული AV ბლოკადის დროს პარკუჭების შეკუმშვის სიხშირე მნიშვნელოვნად დაბალია წინაგულეების შეკუმშვის სიხშირეზე;

*დ) სრული AV ბლოკადა და AV დისოციაცია სინონიმებია.

192. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია სწორი ცნება Torsades de Pointes-ის ცნებასთან მიმართებაში:1). Torsades de Pointes პარკუჭოვანი არიტმიების ერთ-ერთი სახეა; 2). Torsades de Pointes გულის თანდაყოლილი მანკია;3). Torsades de Pointes ხშირად ასოცირებულია Q-T ინტერვალის გახანგრძლივებასთან;4). ხშირად ვითარდება I ჯგუფის ანტიარითმული პრეპარატების მიღებისას.

*ა) სწორია 1, 3, 4;

ბ) სწორია 1, 2, 3;

გ) სწორია 2, 3, 4.

193. აბერაციით მიმდინარე წინაგულეების თრთოლვის და ციმციმის კრიტერიუმებია:

*ა) დეფორმული და გაფართოებული QRS კომპლექსი, რომელიც ხანმოკლე შუალედით მოჰყვება გრძელ R-R ციკლს;

ბ) დეფორმული და გაფართოებული QRS კომპლექსი, რომელიც ხანგრძლივი შუალედით მოჰყვება გრძელ R-R ციკლს;

გ) დეფორმული და გაფართოებული QRS კომპლექსი, რომელიც ხანგრძლივი შუალედით მოჰყვება მოკლე R-R ციკლს;

დ) დეფორმული და გაფართოებული QRS კომპლექსი, რომელიც ხანმოკლე შუალედით მოჰყვება მოკლე R-R ციკლს.

194. აბერაციით მიმდინარე სუპრავენტრიკულური ტაქიკარდიის კრიტერიუმებია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

ა) გაფართოებული და დეფორმული QRS კომპლექსები აღმოცენდებიან სწრაფი რიგმით;

ბ) მათ წინ უსწრებს ან უკან მოჰყვება T კბილზე მდებარე ექტოპიური P კბილი;

*გ) ხშირად პარკუჭების რიგმი ღარღვეულია;

დ) აბერანტული QRS კომპლექსის საწყისი ნაწილი ისეთივე პოლარობისაა, როგორც ნორმალური გამგარობის დროს.

195. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია სწორი აბერაციის ცნებასთან მიმართებაში:1). აბერაცია ეწოდება QRS კომპლექსის ნორმალური კონფიგურაციიდან გადახრას;2). აბერანტული QRS კომპლექსი, ხშირად, ჰისის კონის მარჯვენა ფეხის ბლოკადისას არსებული კომპლექსის მსგავსია;3). აბერაციის ხარისხი დამოკიდებულია ნორმალური და არანორმალური გზებით გატარებული დეპოლარიზაციის ტალღების რაოდენობრივ თანაფარდობაზე;4). აბერანტული QRS კომპლექსი, უპირატესად, ჰისის კონის მარცხენა ფეხის წინა ტოლის ბლოკადისას არსებული კომპლექსის მსგავსია.

*ა) სწორია 1, 2, 3;

ბ) სწორია 1, 3;

გ) სწორია 2, 3;

დ) სწორია 4.

196. წინაგულეების ციმციმის და თრთოლვის ფონზე აღმოცენებული პარკუჭოვანი ექსტრასისტოლის და აბერაციის სადიფერენციაციოდ მნიშვნელოვანია შემდეგი კრიტერიუმების ცოდნა:1). თუ გაფართოებული და დეფორმული QRS კომპლექსი მოკლე ინტერვალით მოჰყვება

გრძელ R-R ციკლს უნდა ვიფიქროთ აბერაციაზე;2). თუ ასეთივე კომპლექსი მოჰყვება მოკლე R-R ციკლს, სავარაუდოა პარკუჭოვანი ექსტრასისტოლის არსებობა;3). მულტიფოკალური, გაფართოებული და ლეფორმირებული კომპლექსები მიუთითებენ პარკუჭოვან ექსტრასისტოლაზე.

*ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;

ბ) სწორი პასუხი არ არის.

197. ეკგ-ზე აღინიშნება არათანაბარი P-P ციკლი, ცვალებადი PR ინტერვალებით და 178 შეკ/წთ სიხშირით. QRS კომპლექსის ხანგრძლივობა 0,13 წმ-ია; P კბილების ფორმა ცვალებადობს, QRS კომპლექსები მცირედ ლეფორმულია. ავადმყოფს აღინიშნება შემდეგი არიგმია:

ა) პაროქსიმული სუპრავენტრიკულური ტაქიკარდია;

ბ) წინაგულების თრთოლვა;

გ) სინუსური არიგმია, აბერაციით;

*დ) მულტიფოკალური წინაგულოვანი ტაქიკარდია აბერაციით;

ე) პარკუჭოვანი ტაქიკარდია.

198. ავადმყოფი მამაკაცი, 45 წლის პერიოდულად უჩივის გულის ფრიალს. ეკგ-რიგში სინუსური, არარეგულარული; პერიოდულად აღინიშნება ნაადრევი, ლეფორმული და გაფართოებული QRS კომპლექსების აღმოცენება, რომლებსაც მოჰყვება ინვერსიული P კბილი და არასრული კომპენსატორული პაუზა. ავადმყოფს აღინიშნება შემდეგი გიპის არიგმია:

ა) პარკუჭოვანი ექსტრასისტოლური არიგმია;

*ბ) კვანძოვანი ექსტრასისტოლური არიგმია აბერაციით;

გ) წინაგულოვანი ექსტრასისტოლური არიგმია აბერაციით;

დ) სინუსური არიგმია;

ე) სინუსური არიგმია აბერაციით.

199. II ხარისხის AV ბლოკადის (მობიგცის I გიპი) კრიტერიუმებია:1). რეგულარული P-P ციკლი; 2). P-R ინტერვალის პროგრესულად გახანგრძლივება, ვიდრე რომელიმე წინაგულოვანი იმპულსის გაგარება პარკუჭებამდე არ შეწყდება (ბლოკირებული P კბილი) და არ ჩაიწერება პარკუჭოვანი პაუზა;3). მუდმივი P-R ინტერვალი, ვიდრე არ მოხდება რომელიმე P კბილის ბლოკირება და განვითარდება პარკუჭოვანი პაუზა;4). ლეფორმული QRS კომპლექსების არსებობა.

*ა) სწორია 1, 2;

ბ) სწორია 1, 3, 4;

გ) სწორია 2, 4.

200. წინაგულების თრთოლვის და ციმციმის ფონზე მაღალი ხარისხის AV ბლოკადის კრიტერიუმებია:1). წინაგულების თრთოლვის და ციმციმის დროს ეკგ-ზე ჩაიწერება ხანგრძლივი პარკუჭოვანი პაუზები;2). QRS კომპლექსის ფორმა ისეთივეა, როგორც რეგულარული კარდიალური რიგის დროს;3). პერიოდულად ჩაიწერება ბლოკირებული P კბილი.

ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;

*ბ) სწორია 1, 2;

გ) სწორია 1, 3;

დ) სწორია 2, 3.

201. ფრედერიკის სინდრომი:

ა) პარკუჭების ასისტოლის მიზეზით თავის გვირგვინის ჰიპოქსიის განვითარების შედეგად გამოწვეული ცნობიერების დაკარგვა და კრუნჩხვითი სინდრომის განვითარება;

*ბ) სრული ატრიოვენტრიკულური ბლოკადის და წინაგულების თრთოლვის ან ციმციმის შერწყმა;

გ) ხშირად ვითარდება სრული სინოაურიკულური ბლოკადის ფონზე;

დ) გულ-სისხლძარღვთა სისტემის თანდაყოლილი ანომალია.

202. ჰისის კონის მარჯვენა ფეხის სრული ბლოკადის ძირითადი ნიშნებია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

ა) V1_V2 განხრებში (იშვიათად III, avF) rSR ან rsR გიპის QRS კომპლექსების არსებობა;

ბ) V5_V6 და I და avL განხრებში ფართე, დაკბილური S კბილის არსებობა;

გ) QRS კომპლექსის გახანგრძლივება 0,12 წმ-ზე მეტად;

დ) V1 (იშვიათად III) განხრაში RS-T სეგმენტის ლეპრესია და უარყოფითი ან ორფაზიანი ასიმეტრიული T კბილის არსებობა;

*ე) გულის ელექტრული ღერძის გადახრა მკვეთრად მარცხნივ.

203. ჰისის კონის მარცხენა ფეხის წინა გოგის ბლოკადის ნიშნებია:1). გულის ელექტრული ღერძის გადახრა მკვეთრად მარცხნივ;2). I და avL განხრებში qR, III და avF განხრებში კი sR გიპის QRS კომპლექსის არსებობა;3). QRS კომპლექსის ხანგრძლივობა აღემატება 0,12 წმ-ს.

ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;

*ბ) სწორია 1, 2;

გ) სწორია 1, 3;

დ) სწორია 2, 3.

204. ჰისის კონის მარცხენა ფეხის სრული ბლოკადის ნიშნებია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

*ა) გულის ელექტრული ღერძი აუცილებლად გადახრილია მკვეთრად მარჯვნივ;

ბ) V5, V6, I და avL განხრებში QRS კომპლექსი გაფართოებული (0,12 წმ-ზე მეტად) და ლეფორმულია R კბილის დაკბილვის ან გაფართოების ხარჯზე;

გ) V5, V6, I და avL განხრებში აღინიშნება ST სეგმენტის ლეპრესია და უარყოფითი ან ორფაზიანი T კბილი;

დ) V1, V2, I და avF განხრებში QRS კომპლექსი გაფართოებული და ლეფორმულია S კბილის გაფართოების ან დაკბილვის ხარჯზე.

205. ჰისის კონის მარცხენა ფეხის არასრული ბლოკადის ეკგ ნიშნებია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) I, avL, V5, V6 განხრებში მაღალი, გაფართოებული, ზოგჯერ დაკბილული R კბილი (V6 განხრებში S კბილი არ ფიქსირდება);
- ბ) III, avF, V1, V2 განხრებში ღრმა, გაფართოებული, ზოგჯერ დაკბილული S კბილი;
- გ) QRS კომპლექსის ხანგრძლივობა 0,10_0,11 წმ-ის ფარგლებშია;
- *დ) I, avL, V5, V6 განხრებში უარყოფითი ან ორფაზიანი T კბილი;
- ე) გულის ელექტრული ღერძი უფრო ხშირად მარცხნივია გადახრილი.

206. ქვემოთ ჩამოთვლილი ეკგ პათოლოგიებიდან რომელი არ შეესაბამება ბიფასციკულური ბლოკადის ცნებას:

- ა) ჰისის კონის მარცხენა ფეხის წინა გოგის და მარჯვენა ფეხის ბლოკადა;
- ბ) ჰისის კონის მარცხენა ფეხის უკანა გოგის და მარჯვენა ფეხის ბლოკადა;
- გ) ჰისის კონის მარცხენა ფეხის ორივე გოგის ბლოკადა;
- *დ) ჰისის კონის რომელიმე ორი გოგის და I ხარისხის აგრიოვენტრიკულური ბლოკადა.

207. ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან მიუთითეთ რომელია სწორი I ხარისხის სინოატრიალურ ბლოკადასთან მიმართებაში:

- ა) P-P ციკლი პროგრესულად მოკლდება მანამ, სანამ აღიძვრება პარკუჭოვანი პაუზა;
- ბ) პარკუჭოვანი პაუზის აღმოცენებამდე P-P ციკლი მუდმივია;
- *გ) I ხარისხის სინოატრიალური ბლოკადა ეკგ-ზე არ ფიქსირდება;
- დ) P-Q(R) ინტერვალი მუდმივია, მანამ სანამ არ აღიძვრება პარკუჭოვანი პაუზა.

208. ვენკენბახის II ხარისხის სინოატრიალური ბლოკადის კრიტერიუმებია:1). P-P ციკლი პროგრესულად მოკლდება მანამ, სანამ აღიძვრება პარკუჭოვანი პაუზა, რომლის დროსაც არ ფიქსირდება PQRST კბილები;2). პაუზის ხანგრძლივობა ნაკლებია წინა P-P ციკლის გაორმაგებულ ხანგრძლივობამდე;3). პაუზის ხანგრძლივობა მეტია წინა P-P ციკლის გაორმაგებულ ხანგრძლივობამდე;4). QRS კომპლექსი გულის რეგულარული რიტმის დროს არსებული კომპლექსის მსგავსია.

- *ა) სწორია 1, 2, 4;
- ბ) სწორია 1, 3, 4.

209. მობიტიცი II ხარისხის SA ბლოკადის კრიტერიუმებია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) პარკუჭოვანი პაუზის აღმოცენებამდე P-P ციკლი მუდმივია;
- ბ) პაუზის განმავლობაში არ ჩაიწერება არც P კბილი და არც QRS კომპლექსი;
- *გ) პარკუჭოვანი პაუზა ნაკლებია წინა P-P ციკლის გაორმაგებულ ხანგრძლივობამდე;
- დ) QRS კომპლექსი გულის რეგულარული რიტმის დროს არსებული კომპლექსის მსგავსია.

210. ვოლფ-პარკინსონ-უაიგის (WPW) სინდრომის კრიტერიუმია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) სინუსური რიტმი, შემოკლებული P-Q(R) ინტერვალებით;
- ბ) დელტა ტალღის არსებობა;
- გ) სხვადასხვა სიფართის და კონფიგურაციის QRS კომპლექსები;
- დ) მიღრეკილება სუპრავენტრიკულური ტაქიკარდიების აღმოცენებისას;
- *ე) მიღრეკილება პარკუჭოვანი ტაქიკარდიების აღმოცენებისას.

211. WPW სინდრომის დროს განვითარებული სუპრავენტრიკულური ტაქიკარდიის და პარკუჭოვანი ტაქიკარდიის დიფერენცირებისას მნიშვნელოვანია:

- ა) QRS კომპლექსის ფორმა და ხანგრძლივობა;
- ბ) R-R ციკლის რეგულარობა და სიხშირე;
- *გ) ექტოპიური P კბილების აღმოჩენა;
- დ) Q-T ინტერვალის ხანგრძლივობა.

212. WPW სინდრომის დროს განვითარებული სუპრავენტრიკულური ტაქიკარდიის და ამ სინდრომის ფონზე აღმოცენებული მოციმციმე არიტმიის დიფერენცირებისას მნიშვნელოვანია:1). QRS კომპლექსის ფორმა; 2). რეგულარული ან არარეგულარული R-R ციკლის არსებობა;3). ეკგ P კბილების აღმოჩენა.

- ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 1, 3;
- *დ) სწორია 2, 3.

213. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია არასწორი ლაუნ-ჰენონგ-ლევისის სინდრომთან (LGL) მიმართებაში:

- ა) LGL სინდრომი ვითარდება წინაგულებიდან პარკუჭებამდე დამატებითი გამტარი გზების ფუნქციონირებისას;
- ბ) LGL სინდრომის დროს P-Q(R) ინტერვალის ხანგრძლივობა 0,12 წმ-ზე ნაკლებია;
- გ) LGL სინდრომის დროს QRS კომპლექსის ხანგრძლივობა და ფორმა ნორმის ფარგლებშია;
- *დ) LGL სინდრომი, ჩვეულებრივ, ვითარდება თირეოტოქსიკოზის ფონზე.

214. ეკგ-ზე აღენიშნება არათანაბარი 75-82 შეკ/წთ სიხშირის რიტმი, კომპლექსიდან კომპლექსამდე P კბილის ფორმა ცვალებადობს. აღინიშნება P-R ინტერვალის მცირედ გამოსხვავებული მერყეობა ავადმყოფს აღენიშნება შემდეგი ტიპის არიტმია:

- ა) სინუსური არიტმია;
- ბ) I ხარისხის აგრიოვენტრიკულური ბლოკადა;
- *გ) რიტმის წამყვანის მიგრაცია;
- დ) მულტიფოკალური წინაგულოვანი ტაქიკარდია;
- ე) II ხარისხის სინოატრიკულური ბლოკადა.

215. კლერკ-ლევი-კრიგესკოს სინდრომი (CLC) განსხვავდება ლაუნ-ჰენონგ-ლევის სინდრომისაგან იმით, რომ1). CLC არ არის დაკავშირებული დამატებითი გზების ფუნქციონირებასთან;2). CLC ვითარდება მოკარდიუმის ინფარქტის, თირეოტოქსიკოზის და ზოგიერთი სხვა პათოლოგიის დროს;3). CLC სინდრომის დროს აღინიშნება P-Q(R) ინტერვალის შემოკლება.

- ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;
- *ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 1, 3;
- დ) სწორია 2, 3.

216. მარცხენა წინაგულის ჰიპერტროფიის და წინაგულში ბლოკადის დიფერენცირებისას, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მეტყველებს:

- ა) I, avL, V5, V6 განხრებში ორკუბიანი P კბილის არსებობა;
- ბ) II, III, avF განხრებში P კბილის ამპლიტუდის შემცირება - გადასწორებული P კბილი;
- გ) P კბილის ამპლიტუდის გაზრდა - 2,5მმ-ზე მეტად;
- *დ) P კბილის გახანგრძლივება 0,12 წმ-ზე მეტად.

217. ორივე წინაგულის ჰიპერტროფიის ნიშნებია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) I, avL, V5-V6 განხრებში გაფართოებული და ორკუბიანი P კბილი;
- ბ) II, III, avF განხრაში წვეტიანი P კბილები;
- გ) III და avF განხრებში P კბილის ამპლიტუდა 2,5 მმ-ია;
- *დ) მამურის ინდექსი (P კბილის ხანგრძლივობის შეფარდება PQ სეგმენტთან) არ აღემატება 1,6-ს.

218. ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან რომლები ვითარდება მარცხენა პარაკუტის მკვეთრი ჰიპერტროფიის დროს (ზომიერ ჰიპერტროფიას ეს ნიშნები არ ახასიათებს)1). V5-V6 განხრებში კ კბილის ამპლიტუდის გაზრდა, V1-V2 განხრებში კი S კბილის გაღრმავება;2). გულის მობრუნება სიგრიდოვანი ღერძის გარშემო საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით;3). V5, V6, I და avL განხრებში RS-T სეგმენტის ლეპრესია და უარყოფითი ან ორფაზიანი T კბილი;4). V5-V6-ზე განხრებში შინაგანი გადახრის ინტერვალის გაზრდა 0,05 წმ-ზე მეტად.

- ა) სწორია 1, 2, 3;
- ბ) სწორია 2, 4;
- *გ) სწორია 2, 3, 4.

219. მარცხენა პარაკუტის ჰიპერტროფიისას:1). I განხრაში R არანაკლებ 15მმ-ია; 2). avL განხრაში R არანაკლებ 11მმ-ია;3). avR განხრაში R არანაკლებ 7მმ-ია; 4). V5, V6 განხრებში R > 25მმ.

- ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) სწორია 1, 2, 3;
- *გ) სწორია 1, 2, 4;
- დ) სწორია 2, 4.

220. მარჯვენა პარაკუტის R ტიპის ჰიპერტროფიის ნიშნებია:1). V1 განხრაში Rs ტიპის QRS კომპლექსი;2). გულმკერდის ყველა განხრაში rS ან RS ტიპის QRS კომპლექსი;3). V1 განხრაში rSR ან RSR ტიპის QRS კომპლექსი; 4). V1 განხრაში qR ტიპის QRS კომპლექსი.

- ა) სწორია 1, 2;
- ბ) სწორია 2, 3;
- *გ) სწორია 1, 4.

221. მარჯვენა პარაკუტის S ტიპის ჰიპერტროფიის ნიშნებია:1). V1 განხრაში Rs ტიპის QRS კომპლექსი; 2). V1 განხრაში qR ტიპის QRS კომპლექსი;3). RS ტიპის ან RS ტიპის QRS კომპლექსი გულმკერდის ყველა განხრაში;4). rSR ან RSR ტიპის QRS კომპლექსი V1 განხრაში.

- ა) სწორია 1, 2;
- *ბ) სწორია 3;
- გ) სწორია 3, 4;
- დ) სწორია 2.

222. მარჯვენა პარაკუტის RSR ტიპის ჰიპერტროფიის ნიშნებია:1). V1 განხრაში RS ტიპის QRS კომპლექსი; 2). V1 განხრაში qR ტიპის QRS კომპლექსი;3). rS ან RS ტიპის QRS კომპლექსი გულმკერდის ყველა განხრაში;4). V1 განხრაში rSR ან RSR ტიპის QRS კომპლექსი.

- ა) სწორია 1, 2;
- ბ) სწორია 2, 3;
- გ) სწორია 3, 4.
- *დ) სწორია 4;
- ე) სწორია 2.

223. მარჯვენა პარაკუტის მკვეთრი ჰიპერტროფიის ნიშნებია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) გულის ელექტრული ღერძის გადახრა მარჯვნივ (აღუა > +110 გრადუსი);
- ბ) III, avF, V1, V2 განხრებში RS-T სეგმენტის ლეპრესია და უარყოფითი T კბილების წარმოქმნა;
- გ) V1 განხრაში შინაგანი გადახრის ინტერვალის გაზრდა 0,03 წმ-ზე მეტად;
- *დ) გულის ელექტრული ღერძის მობრუნება სიგრიდოვანი ღერძის გარშემო საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით.

224. მარჯვენა და მარცხენა პარაკუტების ჰიპერტროფიისას, შესაბამისად, გულმკერდის მარჯვენა და მარცხენა განხრებში RS-T სეგმენტის და R(S) კბილის დისკორდანტული ცდომის მიზეზებია:

- ა) ჰიპერტროფიის შედეგად განვითარებული გულის უკმარისობა;
- ბ) ელექტროლიტური დისბალანსი;

- *გ) ჰიპერტოფიის შედეგად რეპოლარიზაციის პროცესის დარღვევა;
- დ) გულის კუმშვადი ფუნქციის დაქვეითება.

225. მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტოფიისას, ქვემოთ ჩამოთვლილი, რომელი ეკგ ნიშნები მიგვანიშნებენ მარცხენა პარკუჭის ჰიპერტოფიის არსებობაზე:1). V1-V2 განხრებში S კბილის გაღრმავება;2). გულის ელექტრული ღერძის გადახრა მკვეთრად მარცხნივ ალფა=-30 გრადუსი;3). V5-V6 განხრებში R კბილის ამპლიტუდის გაზრდა.

- *ა) ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი;
- ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 1, 3;
- დ) სწორია 2, 3.

226. მარცხენა პარკუჭის ჰიპერტოფიისას, ქვემოთ ჩამოთვლილი, რომელი ეკგ ნიშნები მიგვანიშნებენ მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტოფიის შესაძლო არსებობაზე:1). გულის ელექტრული ღერძის გადახრა მარჯვნივ ალფა=+100 გრადუსი;2). V1-V2 განხრებში R კბილის ამპლიტუდის გაზრდა ($R > 7\text{მმ}$);3). V1 განხრებში ჰისის კონის მარჯვენა ფეხის არასრული ბლოკადის ნიშნები;4). V1-V2 განხრებში ღრმა S კბილი.

- *ა) სწორია 1, 2, 3;
- ბ) სწორია 2, 3;
- გ) სწორია 1, 2, 4.

227. მარცხენა პარკუჭის სისტოლური გადაძაბვის ნიშნებია:1). V5-V6 განხრებში RS-T სეგმენტის ღერძის და T კბილის ინვერსია;2). V1-V2 განხრებში RS-T სეგმენტის ღერძის და T კბილის ინვერსია;3). V5-V6 განხრებში R კბილის ამპლიტუდის გაზრდა 35 მმ-ზე მეტად.

- ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) სწორია 1, 3;
- გ) სწორია 2, 3;
- დ) სწორია 3;
- *ე) სწორია 1.

228. მარჯვენა პარკუჭის სისტოლური გადაძაბვის ნიშნებია:1). V1-V2 განხრებში RS-T სეგმენტის ღერძის და T კბილის ინვერსია;2). მაპროვოცირებული ფაქტორის მოხსნის შემდეგ RS-T სეგმენტი და T კბილი სწრაფად უბრუნდება ნორმას;3). V1-V2 განხრებში R კბილის ამპლიტუდის გაზრდა 7მმ-ზე მეტად.

- ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი
- *ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 2, 3;
- დ) სწორია 1, 3.

229. მიოკარდიუმის იშემიის ეკგ ნიშნებია:

- *ა) T კბილის ფორმის და პოლარობის სხვადასხვაგვარი ცვლილებები;
- ბ) RS-T სეგმენტის ცლომა იმოხაზს შემთხვევით;
- გ) Q კბილის ამპლიტუდის და ხანგრძლივობის ცვლილებები;
- დ) ყველა ჩამოთვლილი.

230. გულმკერდის განხრებში მაღალი წვეტიანი T კბილების ჩაწერა:1). მიუთითებს მარცხენა პარკუჭის წინა კედლის სუბენდოკარდიულ იშემიაზე;2). მიუთითებს მარცხენა პარკუჭის უკანა კედლის სუბეპიკარდიულ, გრანსმურულ და ინტრამურულ იშემიაზე;3). ხშირად გვხვდება ახალგაზრდებში, რაც შესაძლოა ნორმის ვარიანტსაც წარმოადგენდეს;4). ხშირად ფიქსირდება ხანდაზმულ მამაკაცებში, რაც შესაძლოა ნორმის ვარიანტს წარმოადგენდეს.

- ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) სწორია 2, 3, 4;
- *გ) სწორია 1, 2, 3;
- დ) სწორია 1, 4.

231. გულმკერდის განხრებში უარყოფითი კორონარული T კბილის დაფიქსირება:1). მიუთითებს მარცხენა პარკუჭის წინა კედლის სუბენდოკარდიულ იშემიაზე;2). მიუთითებს მარცხენა პარკუჭის წინა კედლის სუბეპიკარდიულ, გრანსმურულ და ინტრამურულ იშემიაზე;3). ნორმის ვარიანტია გულმკერდის მარჯვენა განხრებში ბავშვებში;4). ნორმის ვარიანტია გულმკერდის მარცხენა განხრებში ბავშვებში.

- *ა) სწორია 2, 3;
- ბ) სწორია 1, 3, 4;
- გ) სწორია 1, 4.

232. ორფაზიანი T კბილი, ჩვეულებრივ:1). ფიქსირდება იშემიური ბონის და ინტაქტური უბნის საზღვარზე;2). გულმკერდის მარჯვენა განხრებში მომარტებში, შესაძლოა, ნორმაშიც შეგვხვდეს;3). გულმკერდის მარჯვენა განხრებში ხანდაზმულ მამაკაცებში ნორმის ვარიანტია.

- *ა) სწორია 1, 2;
- ბ) სწორია 1, 3;
- გ) სწორია 2, 3.

233. გულმკერდის განხრებში ღერძისეული ან იმოლექტრული T კბილების ჩაწერა მიუთითებს:

- *ა) მარცხენა პარკუჭის უკანა-ბაზალური კედლის სუბენდოკარდიულ იშემიაზე;
- ბ) მარცხენა პარკუჭის უკანა კედლის სუბეპიკარდიულ იშემიაზე;
- გ) ხშირად რეგისტრირდება ნორმაში, განსაკუთრებით ახალგაზრდა ასაკში;

დ) მარცხენა პარკუჭის ქვედა კედლის სუბენდოკარდიულ იშემიაზე.

234. მთოკარდიუმის იშემიური დაზიანების ეკგ ნიშანია:

- ა) T კბილის ფორმის და პოლარობის სხვადასხვაგვარი ცვლილებები;
- *ბ) RS-T სეგმენტის ცლობა იზოხაზს ზევით ან ქვევით;
- გ) Q კბილის ამპლიტუდის და ხანგრძლივობის ცვლილებები;
- დ) ყველა ჩამოთვლილი.

235. გულმკერდის განხრებში RS-T სეგმენტის ელევაცია მიუთითებს:

- ა) მარცხენა პარკუჭის მკვეთრი ჰიპერტროფიის არსებობაზე;
- *ბ) მარცხენა პარკუჭის წინა კედლის სუბეპიკარდიული ან გრანსმურული იშემიური დაზიანების არსებობაზე;
- გ) მარცხენა პარკუჭის წინა კედლის სუბენდოკარდიული იშემიის არსებობაზე;
- დ) მარცხენა პარკუჭის უკანა კედლის გრანსმურული იშემიური დაზიანების არსებობაზე.

236. გულმკერდის განხრებში RS-T სეგმენტის ღებრესია მიუთითებს:1). მარცხენა პარკუჭის წინა კედლის სუბენდოკარდიული იშემიური დაზიანების არსებობაზე;2). მარცხენა პარკუჭის წინა კედლის სუბეპიკარდიული იშემიური დაზიანების არსებობაზე;3). მარცხენა პარკუჭის უკანა კედლის გრანსმურული დაზიანების არსებობაზე.

- *ა) სწორია 1, 3;
- ბ) სწორია 2, 3.

237. ST სეგმენტის ელევაცია და ღებრესია 0,5მმ-ით:1). ყოველთვის მიუთითებს მთოკარდიუმის იშემიური დაზიანების არსებობაზე;2).

შეიძლება ადინიზოს პრექტიკულად ჯანმრთელ პირებში;3). შეიძლება განვითარდეს სხვა კარდიალური პათოლოგიების არსებობისასაც.

- *ა) სწორია 2, 3;
- ბ) სწორია 1, 2.

238. მთოკარდიუმის ნეკროზის ძირითადი ეკგ ნიშანია:1). T კბილის ფორმის და პოლარობის სხვადასხვაგვარი ცვლილებები;2). RS-T სეგმენტის ცლობა იზოხაზს ზევით ან ქვევით; 3). პათოლოგიური Q კბილი; 4). QS კომპლექსი.

- ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) სწორია 1, 2, 3;
- *გ) სწორია 3, 4.

239. გულმკერდის განხრებსა და I და avL განხრებში პათოლოგიური Q კბილის დაფიქსირება, მიუთითებს:

- ა) მარცხენა პარკუჭის წინა კედლის გრანსმურულ ინფარქტზე;
- *ბ) მარცხენა პარკუჭის წინა კედლის არაგრანსმურულ ნეკროზზე;
- გ) მარცხენა პარკუჭის უკანა-ღიაფრაგმული (ქვედა) კედლის გრანსმურულ ინფარქტზე;
- დ) მარცხენა პარკუჭის უკანა-ბაზალური კედლის არაგრანსმურულ ინფარქტზე.

240. გულმკერდის განხრებსა და I, avL განხრებში QS კომპლექსის დაფიქსირება მიუთითებს:

- *ა) მარცხენა პარკუჭის წინა კედლის გრანსმურულ ინფარქტზე;
- ბ) მარცხენა პარკუჭის წინა კედლის არაგრანსმურულ ნეკროზზე;
- გ) მარცხენა პარკუჭის უკანა-ღიაფრაგმული (ქვედა) კედლის გრანსმურულ ინფარქტზე;
- დ) მარცხენა პარკუჭის უკანა-ბაზალური კედლის არაგრანსმურულ ინფარქტზე.

241. III, avF და II განხრებში პათოლოგიური Q კბილის დაფიქსირება მიუთითებს:

- *ა) მარცხენა პარკუჭის უკანა-ღიაფრაგმული (ქვედა) კედლის არაგრანსმურულ ნეკროზზე;
- ბ) მარცხენა პარკუჭის უკანა-ბაზალური კედლის არაგრანსმურულ ნეკროზზე;
- გ) მარცხენა პარკუჭის უკანა-ბაზალური კედლის გრანსმურულ ინფარქტზე;
- დ) მარცხენა პარკუჭის წინა-გვერდითი კედლის გრანსმურულ ინფარქტზე.

242. III, avF და II განხრებში QS კომპლექსის დაფიქსირება მიუთითებს:

- *ა) მარცხენა პარკუჭის უკანა-ღიაფრაგმული (ქვედა) კედლის გრანსმურულ ნეკროზზე;
- ბ) მარცხენა პარკუჭის უკანა-ბაზალური კედლის არაგრანსმურულ ნეკროზზე;
- გ) მარცხენა პარკუჭის უკანა-ბაზალური კედლის გრანსმურულ ინფარქტზე;
- დ) მარცხენა პარკუჭის წინა-გვერდითი კედლის გრანსმურულ ინფარქტზე.

243. V7-V9 განხრებში პათოლოგიური Q კბილის დაფიქსირება მიუთითებს:1). მარცხენა პარკუჭის უკანა-ღიაფრაგმული (ქვედა) კედლის არაგრანსმურულ ნეკროზზე;2). მარცხენა პარკუჭის უკანა-ბაზალური კედლის არაგრანსმურულ ნეკროზზე;3). მარცხენა პარკუჭის უკანა-გვერდითი კედლის არაგრანსმურულ ნეკროზზე.

- ა) სწორია 1, 2;
- *ბ) სწორია 2, 3;
- გ) სწორია 1, 3.

244. V7-V9 განხრებში QS კომპლექსის დაფიქსირება მიუთითებს:1). მარცხენა პარკუჭის უკანა-გვერდითი კედლის გრანსმურულ ინფარქტზე;2). მარცხენა პარკუჭის წინა კედლის გრანსმურულ ინფარქტზე;3). მარცხენა პარკუჭის უკანა-ბაზალური კედლის გრანსმურულ ინფარქტზე.

- ა) სწორია 1, 2;
- *ბ) სწორია 1, 3;
- გ) სწორია 2, 3.

245. V1, V2 განხრებში R კბილის ამპლიტუდის გაზრდა შეიძლება აღინიშნოს:

- ა) მარჯვენა პარაკუტის ინფარქტის განვითარებისას;
- *ბ) მარცხენა პარაკუტის უკანა-ბაზალური კედლის ინფარქტის განვითარებისას;
- გ) მარცხენა პარაკუტის წინა-სეპტალური კედლის ინფარქტის განვითარებისას;
- დ) მარცხენა პარაკუტის უკანა-დიაფრაგმული (ქვედა) კედლის ინფარქტის განვითარებისას.

246. მარცხენა პარაკუტის ტრანსმურული ნეკროზის სპეციფიური ეკგ ნიშანია:

- *ა) გულმკერდის განხრებში QS კომპლექსი;
- ბ) გულმკერდის რამდენიმე განხრაში ST სეგმენტის ელევაცია და უარყოფითი "კორონარული" T კბილი;
- გ) გულმკერდის რამდენიმე განხრაში ST სეგმენტის ლეპრესია ან avR, V1 და V2 განხრებში ST სეგმენტის გუმბათისებრი ელევაცია და ღრმა უარყოფითი T კბილი;
- დ) გულმკერდის რამდენიმე განხრაში ST სეგმენტის ელევაცია და უარყოფითი T კბილი.

247. მარცხენა პარაკუტის სუბეპიკარდიული ინფარქტის ეკგ ნიშნებია:

- ა) გულმკერდის განხრებში QS კომპლექსი;
- *ბ) ინფარქტის ლოკალიზაციის შესაბამის განხრებში QS, Qr ან QR ტიპის პარაკუტოვანი კომპლექსი, ST სეგმენტის ელევაცია და უარყოფითი "კორონარული" T კბილი;
- გ) გულმკერდის რამდენიმე განხრაში ST სეგმენტის ლეპრესია ან avR, V1, V2 განხრებში ST სეგმენტის გუმბათისებრი ელევაცია და ღრმა, უარყოფითი T კბილი;
- დ) გულმკერდის რამდენიმე განხრაში ST სეგმენტის ელევაცია და უარყოფითი T კბილი.

248. მარცხენა პარაკუტის სუბენდოკარდიული ინფარქტის ეკგ ნიშნებია:

- ა) გულმკერდის განხრებში QS ტიპის პარაკუტოვანი კომპლექსი;
- ბ) ინფარქტის ლოკალიზაციის შესაბამის განხრებში QS, Qr ან QR ტიპის პარაკუტოვანი კომპლექსი, ST სეგმენტის ელევაცია და უარყოფითი, "კორონარული" T კბილი;
- *გ) ინფარქტის ლოკალიზაციის შესაბამის (ეპიკარდიულ) განხრებში ST სეგმენტის ლეპრესია ან avR, V1 და V2 განხრებში ST სეგმენტის გუმბათისებრი ელევაცია და ღრმა, უარყოფითი T კბილი;
- დ) გულმკერდის რამდენიმე განხრაში ST სეგმენტის ელევაცია და უარყოფითი T კბილი.

249. მარცხენა პარაკუტის ინტრამურალური ინფარქტის ეკგ ნიშნებია:

- ა) გულმკერდის განხრებში QS ტიპის პარაკუტოვანი კომპლექსი;
- ბ) ინფარქტის ლოკალიზაციის შესაბამის განხრებში QS, Qr ან QR ტიპის პარაკუტოვანი კომპლექსი, ST სეგმენტის ელევაცია და უარყოფითი "კორონარული" T კბილი;
- გ) ინფარქტის ლოკალიზაციის შესაბამის განხრებში ST სეგმენტის ლეპრესია ან avR, V1 და V2 განხრებში ST სეგმენტის გუმბათისებრი ელევაცია და ღრმა, უარყოფითი T კბილი;
- *დ) ინფარქტის ლოკალიზაციის შესაბამის გულმკერდის რამდენიმე განხრაში ST სეგმენტის ელევაცია და უარყოფითი T კბილი.

250. მთოკარდიუმის ინფარქტის უმწვავეს სტადიას ახასიათებს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ნიშანი, გარდა:

- ა) "იშემიური", "გიგანტური" T კბილი;
- ბ) ST სეგმენტის ელევაცია;
- გ) R კბილის ამპლიტუდის შემცირება;
- *დ) პათოლოგიური Q კბილი.

251. მთოკარდიუმის ინფარქტის მწვავე სტადიას ახასიათებს:1). პათოლოგიური Q კბილი;2). RS-T სეგმენტის ელევაცია და მასთან შერწყმული დადებითი T კბილი - ე.წ. ერთფაზიანი მრული;3). RS-T სეგმენტის ელევაცია და უარყოფითი T კბილი; 4). QS კომპლექსი.

- *ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) სწორია 1, 2, 3;
- გ) სწორია 1, 3;
- დ) სწორია 2, 4.

252. მთოკარდიუმის ინფარქტის ქვემწვავე სტადიას ახასიათებს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ნიშანი, გარდა:

- ა) პათოლოგიური Q კბილი;
- *ბ) RS-T სეგმენტის ლეპრესია;
- გ) უარყოფითი, კორონარული T კბილი;
- დ) QS ტიპის პარაკუტოვანი კომპლექსი.

253. მთოკარდიუმის ინფარქტის ნაწიბუროვანი სტადიისთვის დამახასიათებელია:1). პათოლოგიური Q კბილი ან QS ტიპის პარაკუტოვანი კომპლექსი;2). T კბილის უმნიშვნელოდ გამოხატული ინვერსია; 3). გაღასწორებული T კბილი; 4). დადებითი T კბილი.

- *ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 1, 2, 3;
- დ) სწორია 1, 3.

254. მარცხენა პარაკუტის წინა-გვერდითი კედლის ინფარქტის ნიშნებია:1) I, avL, V5, V6, Q განხრებში პათოლოგიური Q კბილი ან QS ტიპის QRS კომპლექსი;2) I, avL, V5, V6, Q (იშვითად II, V4) განხრებში RS-T სეგმენტის ელევაცია და უარყოფითი T კბილი;3) V1-V3 (ზოგჯერ III, avF) განხრებში RS-T სეგმენტის ლეპრესია (რეციპროკული ცვლილებები).

- *ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;

- ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 1, 3;
- დ) სწორია 2, 3.

255. მარცხენა პარკუჭის წინა-სეპტალური კედლის ინფარქტის ნიშნებია:1) V1-V3, I, avL განხრებში პათოლოგიური Q კბილი ან QS ტიპის პარკუჭოვანი კომპლექსი;2) V3-V4 განხრებში პათოლოგიური Q კბილი;3) V1-V3, I, avL განხრებში RS-T სეგმენტის ელევაცია და უარყოფითი T კბილი.

- ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) სწორია 1, 2;
- *გ) სწორია 1, 3;
- დ) სწორია 2, 3.

256. მარცხენა პარკუჭის წინა კედლის ინფარქტის ნიშნებია:1). V3-V4 განხრებში პათოლოგიური Q კბილი ან QS ტიპის პარკუჭოვანი კომპლექსი;2). V3-V4 განხრებში RS-T სეგმენტის ელევაცია და უარყოფითი T კბილი;3). III, avF განხრებში RS-T სეგმენტის ელევაცია და უარყოფითი T კბილი.

- *ა) სწორია 1, 2;
- ბ) სწორია 1, 3;
- გ) სწორია 2, 3.

257. მარცხენა პარკუჭის წინა გავრცელებული ინფარქტის ეკგ ნიშნებია:1) I, avL, V1-V6, A, D განხრებში პათოლოგიური Q კბილი ან QS ტიპის პარკუჭოვანი კომპლექსი;2) I, avL, V1-V6, A, D განხრებში RS-T სეგმენტის ელევაცია და უარყოფითი T კბილი;3) III, avF განხრებში RS-T სეგმენტის ღებრესია და დადებითი T კბილი.

- *ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 1,3;
- დ) სწორია 2, 3.

258. მარცხენა პარკუჭის უკანა-დიაფრაგმული (ქველა) კედლის ინფარქტის ნიშნებია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) III, avF, II განხრებში პათოლოგიური Q და QS ტიპის პარკუჭოვანი კომპლექსი;
- *ბ) III, avF, II განხრებში RS-T სეგმენტის ღებრესია და დადებითი T კბილი;
- გ) III, avF, II განხრებში RS-T სეგმენტის ელევაცია და უარყოფითი T კბილი;
- დ) I, avF, V1-V4 განხრებში RS-T სეგმენტის ღებრესია და მაღალი, დადებითი T კბილი.

259. მარცხენა პარკუჭის უკანა-ბაზალური კედლის ინფარქტის ნიშნებია:1). V7-V9 განხრებში პათოლოგიური Q კბილი ან QS ტიპის პარკუჭოვანი კომპლექსი;2). V7-V9 განხრებში RS-T სეგმენტის ელევაცია და უარყოფითი T კბილი;3). V1-V2 განხრებში R კბილის ამპლიტუდის გაზრდა, RS-T სეგმენტის ღებრესია და მაღალი დადებითი T კბილი;4). II, III, avF განხრებში Q კბილი ან QS კომპლექსი.

- ა) ყველა ჩამოთვლილი;
- *ბ) სწორია 1, 2, 3;
- გ) სწორია 3, 4;
- დ) სწორია 2, 3, 4.

260. მარცხენა პარკუჭის უკანა-გვერდითი კედლის ინფარქტის ეკგ ნიშნებია:1). III, II, avF, V5-V6, I, avL, D, Q განხრებში პათოლოგიური Q ან QS ტიპის პარკუჭოვანი კომპლექსი;2). III, II, avF, V5-V6, I, avL, D, Q განხრებში RS-T სეგმენტის ელევაცია და უარყოფითი T კბილი;3). V1-V2 განხრებში R კბილის ამპლიტუდის გაზრდა, RS-T სეგმენტის ღებრესია და მაღალი, დადებითი T კბილი;4). V7-V9 განხრებში RS-T სეგმენტის ელევაცია და უარყოფითი T კბილი.

- ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) სწორია 1, 2;
- *გ) სწორია 1, 2, 3;
- დ) სწორია 3, 4.

261. მარცხენა პარკუჭის უკანა გავრცელებული ინფარქტის ნიშნებია:1). II, III, avF, V5, V6, V7-V9, D განხრებში პათოლოგიური Q კბილი ან QS ტიპის პარკუჭოვანი კომპლექსი;2). II, III, avF, V5-V9, D განხრებში RS-T სეგმენტის ელევაცია და უარყოფითი T კბილი; 3) V1-V3 განხრებში R კბილის ამპლიტუდის გაზრდა, RS-T სეგმენტის ღებრესია და დადებითი, მაღალი T კბილი; 4) V1-V3 განხრებში RS-T სეგმენტის ელევაცია და უარყოფითი T კბილი.

- *ა) სწორია 1, 2, 3;
- ბ) სწორია 1, 2, 4.

262. ქვემოთ მოყვანილი დებულებებიდან მარჯვენა პარკუჭის ინფარქტის შესახებ სწორია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) მარჯვენა პარკუჭის ინფარქტი შედარებით ხშირად ვითარდება უკანა-დიაფრაგმული (ქველა) კედლის ინფარქტების დროს;
- ბ) მარჯვენა პარკუჭის იმოლირებული ინფარქტი, ჩვეულებრივ, 12 ეკგ განხრაში არ ვლინდება;
- გ) V3(R)-V4(R) განხრებში აღინიშნება პათოლოგიური Q კბილი, RS-T სეგმენტის ელევაცია და უარყოფითი კორონარული T კბილი;
- დ) V7-V9 განხრებში მოგვარ რეგისტრირდება რეცეპროკული ცელილებები;
- *ე) მარჯვენა პარკუჭის ინფარქტის ფონზე აგრიოვენტრიკულური ბლოკადის განვითარებას ცუდი პროგნოზული მნიშვნელობა აქვს.

263. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია სწორი წინაგულეების ინფარქტთან მიმართებაში:1). წინაგულეების იმოლირებული ინფარქტი პრაქტიკულად არ ვითარდება;2). მარცხენა პარკუჭის ინფარქტის დროს პროცესის წინაგულეებზე გავრცელებისას ადგილი აქვს სხვადასხვა ტიპის წინაგულეოვანი არიტმიების და აგრიოვენტრიკულური ბლოკადის განვითარებას;3). ამ პათოლოგიის განვითარებისას სტანდარტულ, გაძლიერებულ ერთპოლუსიან ან გულმკერდის განხრებში შესაძლოა დაფიქსირდეს PQ სეგმენტის ღებრესია ან ელევაცია.

- *ა) ყველა პასუხი სწორია;
- ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 1,3;
- დ) სწორია 2, 3.

264. მარცხენა პარკუჭის მაღალი-გვერდითი ინფარქტის სავარაუდო ლიაგნოზის დასადასტურებლად დამატებით იღებენ:

- ა) ნების განხრებს;
- ბ) V7-V9 განხრებს;
- *გ) V5-V6 განხრებს იღებენ ორი ნექნით მაღლა;
- დ) ლინის განხრას.

265. ეკგ-ზე V1 განხრაში აღინიშნება მაღალი R კბილი, R/S=1,2, ST სეგმენტის ღებრესია და უარყოფითი T კბილი. QRS კომპლექსის ხანგრძლივობა ნორმის ფარგლებშია. სავარაუდო ეკგ დასკვნაა:

- ა) ეკგ ნორმის ვარიანტი;
- ბ) უკანა-ბაზალური ინფარქტი;
- *გ) მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტროფია ან/და ჰისის კონის მარჯვენა ფეხის არასრული ბლოკადა;
- დ) უკანა-დიაფრაგმული ინფარქტი.

266. ეკგ-ზე V1 განხრაში აღინიშნება მაღალი R კბილი, R/S=1,5, ST სეგმენტის ღებრესია იზოხაზიდან 2მმ-ით ქვემოთ და დადებითი T კბილი. QRS კომპლექსის ხანგრძლივობა ნორმის ფარგლებშია. ყველაზე უფრო სავარაუდო ეკგ დასკვნაა:

- ა) ეკგ ნორმის ვარიანტი;
- *ბ) უკანა-ბაზალური ინფარქტი;
- გ) ჰისის კონის მარჯვენა ფეხის არასრული ბლოკადა;
- დ) მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტროფია.

267. II, III და aVL განხრებში აღინიშნება ST სეგმენტის ელევაცია და დადებითი T კბილი (მონოფაზური მრუდი) შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიოკარდიუმის ინფარქტი განვითარდა:

- *ა) 12-24 საათის წინ;
- ბ) 24-72 საათის წინ;
- გ) 2 კვირის წინ;
- დ) 1 თვის წინ.

268. პოსტინფარქტული ნაწიბურის ადგილას განმეორებითი ინფარქტის განვითარებისას ეკგ-ზე აღინიშნება:1). Q კბილის გაღრმავება; 2). Q კბილის ადგილას QS კომპლექსის ჩამოყალიბება;3). ST სეგმენტის ელევაცია.

- *ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 1, 3;
- დ) სწორია 2, 3.

269. მარცხენა პარკუჭის უკანა-დიაფრაგმული (ქვედა) კელის ინფარქტისას V1 განხრაში ST სეგმენტის ელევაცია მიგვანიშნებს:

- ა) უკანა-ბაზალური კელის ინფარქტის განვითარებაზე;
- *ბ) მარჯვენა პარკუჭის ინფარქტის განვითარებაზე;
- გ) წინა-სეპტალური კელის ინფარქტის განვითარებაზე;
- დ) უკანა-გავრცელებული ინფარქტის განვითარებაზე.

270. ჰისის კონის მარჯვენა ფეხის ბლოკადის არსებობისას, მარცხენა პარკუჭის წინა-სეპტალური კელის არეში ინფარქტის განვითარების მაჩვენებელია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) V1, V2 (ზოგჯერ V3) განხრებში qR ან QR ტიპის პარკუჭოვანი კომპლექსის წარმოქმნა;
- ბ) V1-V2 განხრებში RS-T სეგმენტის ელევაცია და დადებითი T კბილი (მონოფაზური მრუდი);
- გ) V1-V2 განხრებში RS-T სეგმენტის ელევაცია და უარყოფითი კორონარული (სიმეტრიული) T კბილი;
- *დ) V1-V2 განხრებში RS-T სეგმენტის ღებრესია და უარყოფითი, ასიმეტრიული T კბილი.

271. ჰისის კონის მარჯვენა ფეხის ბლოკადის არსებობისას მარცხენა პარკუჭის წინა კელის არეში ინფარქტის განვითარების მაჩვენებელია:1). V1 და V2 განხრებში მაღალი დაკბილული R კბილი და ST სეგმენტის ღებრესია;2). V5-V6 განხრებში ღრმა S კბილის არსებობა;3). V3-V4 განხრებში QS, Qr ან QR ტიპის პარკუჭოვანი კომპლექსი;4). V3-V4 განხრებში ST სეგმენტის ელევაცია და უარყოფითი სიმეტრიული T კბილი.

- ა) სწორია 1, 2, 3;
- *ბ) სწორია 3, 4.

272. ჰისის კონის მარჯვენა ფეხის ბლოკადის ფონზე მარცხენა პარკუჭის გვერდითი კელის არეში ინფარქტის განვითარების მაჩვენებელია:1). V5-V6 განხრებში Q კბილის გაღრმავების ხარჯზე QRS, Qr ან QS ტიპის პარკუჭოვანი კომპლექსის წარმოქმნა;2). V5-V6 განხრებში ST სეგმენტის გუმბათისებური ელევაცია და დადებითი T კბილი (მონოფაზური მრუდი);3). V5-V6 განხრებში ST სეგმენტის ელევაცია და უარყოფითი სიმეტრიული T კბილი.

- *ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 1, 3;
- დ) სწორია 2, 3.

273. ჰისის კონის მარჯვენა ფეხის ბლოკადის ფონზე მარცხენა პარკუჭის უკანა კელის ინფარქტის განვითარების მანევრებელია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) III, avF განხრებში qR ან QR ტიპის პარკუჭოვანი კომპლექსები;
- ბ) III, avF განხრებში ST სეგმენტის ელევაცია და უარყოფითი, სიმეტრიული T კბილი;
- გ) V1 განხრაში მაღალ ამპლიტუდიანი R კბილი და დადებითი T კბილი;
- დ) avR განხრაში ST სეგმენტის ელევაცია და დადებითი ან ორფაზიანი T კბილი;
- *ე) III, avF განხრებში მაღალი წვეტიანი T კბილი.

274. ჰისის კონის მარცხენა ფეხის ბლოკადის ფონზე მარცხენა პარკუჭის წინა და წინა-სეპტალური კელის არეში ინფარქტის განვითარების მანევრებელია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) V5, V6 განხრებში avR, QS ან qRS ტიპის პარკუჭოვანი კომპლექსი;
- ბ) I და avL განხრებში S კბილის აღმაჯალი მუხლის დაკბილება;
- *გ) I, II, III, avL და V1 განხრებში QRS კომპლექსის გახანგრძლივება;
- დ) V1-V4 განხრებში R კბილის რეგრესი;
- ე) V1-V4 განხრებში ST სეგმენტის მნიშვნელოვანი ელევაცია და უარყოფითი T კბილი.

275. ჰისის კონის მარცხენა ფეხის ბლოკადის ფონზე მარცხენა პარკუჭის გვერდითი კელის არეში ინფარქტის განვითარების მანევრებელია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) V5, V6, I, avL (ზოგჯერ V7-V8) განხრებში R კბილის ამპლიტუდის შემცირება;
- ბ) V5, V6, (ზოგჯერ V7, V8) განხრებში ღრმა და გაფართოებული S კბილი;
- გ) V5, V6 განხრებში QRS კომპლექსის გამოხატული დაკბილება;
- დ) V4-V6, I და avL განხრებში ST სეგმენტის ელევაცია;
- *ე) V5-V6 განხრებში R კბილის ამპლიტუდის გაზრდა.

276. ჰისის კონის მარცხენა ფეხის ბლოკადის ფონზე მარცხენა პარკუჭის ქვედა კელის ინფარქტის განვითარების მანევრებელია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) II, III, avF განხრებში QRS კომპლექსის გამოხატული დაკბილება;
- ბ) II, III, avF განხრებში q კბილის არსებობა ან R კბილის აღრეული დაკბილება;
- გ) II, III, avF განხრებში მონოფაზური მრუდი;
- *დ) II, avF, I და avL განხრებში T კბილის ამპლიტუდის გაზრდა;
- ე) avR განხრაში RS-T სეგმენტის ელევაცია და უარყოფითი T კბილი;
- ვ) III, avF I და avL განხრებში უარყოფითი T კბილი.

277. გულის ანევრიზმის ეკგ ნიშნებია:

- ა) რამოდენიმე განხრაში QS კომპლექსის ტიპის პარკუჭოვანი კომპლექსი;
- ბ) რამოდენიმე განხრაში RS-T სეგმენტის ელევაცია, რომელიც თანდათან უბრუნდება ნორმას;
- *გ) ე.წ. "გაყინული" ეკგ - QS ტიპის კომპლექსი და RS-T სეგმენტის ელევაცია რჩება ხანგრძლივი დროის განმავლობაში;
- დ) რამოდენიმე განხრაში RS-T სეგმენტის სტაბილური ღებრესია.

278. დაძაბვის სტენოკარდიის შეტევის დროს მიოკარდიუმის იშემიის ძირითადი ეკგ ნიშნებია:1). T კბილის სხვადასხვა ტიპის "იშემიური" ცვლილებები;2). RS-T სეგმენტის ღებრესია, რომელიც სწრაფად ნორმალიზდება სტენოკარდიის შეტევის კუპირებისას;3). RS-T სეგმენტის ღებრესია, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში რჩება;4). RS-T სეგმენტის ელევაცია, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში რჩება.

- *ა) სწორია 1, 2;
- ბ) სწორია 1, 4;
- გ) სწორია 2, 4;
- დ) სწორია 1, 4.

279. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელი მიესადაგება მიოკარდიუმის მწვავე იშემიის ცრურევერსიბელური ფორმის ცნებას:1). მიოკარდიუმის მწვავე იშემიის დროს არსებული "იშემიური" T კბილი სტენოკარდიული შეტევის შემდეგ დროებით უბრუნდება ნორმალურ მდგომარეობას, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ კვლავ უარყოფითი ხდება და ინფარქტის დამახასიათებელი ცვლილებები ვლინდება ლინამიკაში;2). საწყის ეკგ-ზე არსებული სტაბილური, უარყოფითი T კბილი სტენოკარდიული შეტევის დროს გაღალის დადებით T კბილში, შეტევის მოხსნის შემდეგ კი კვლავ უარყოფითი ხდება;3). სტენოკარდიის შეტევის განვითარებისას RS-T სეგმენტის ღებრესიის მაგივრად აღინიშნება მისი ელევაცია.

- ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;
- *ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 1, 3;
- დ) სწორია 2, 3.

280. გიდ-ის დიაგნოსტიკისთვის ყველაზე უფრო მგრძობიარე მეთოდია:

- ა) სიცივის სინჯი;
- ბ) დიპირიდამოლის სინჯი;
- *გ) ლობირებული ფიზიკური დატვირთვის სინჯი;
- დ) მასტერის სინჯი.

281. დაძაბვის სტენოკარდიის დიაგნოსტიკისთვის ყველაზე უფრო მგრძობიარე მეთოდია:

- ა) 24 საათიანი ეკგ მონიტორირება;
- *ბ) ლობირებული ფიზიკური დატვირთვის სინჯი;

- გ) ფარმაკოლოგიური სინჯები;
- დ) სიცხის სინჯი.

282. გილ-ის დიაგნოსტიკის ყველაზე ნაკლებ მგრძობიარე მეთოდია:

- ა) ველოერგომეტრული ლობირებული ფიზიკური დატვირთვის სინჯი;
- ბ) ტრემლიზზე ფიზიკური დატვირთვის სინჯი;
- *გ) 24 საათიანი ეკგ მონიტორინგის;
- დ) ტრანსემოფაგური ელექტროკარდიოსტიმულაცია.

283. დაძაბვის სტენოკარდიით შეპყრობილი ავადმყოფების 24 საათიანი ეკგ მონიტორინგისას ხშირად ვლინდება:

- *ა) ST სეგმენტის ღებრის ეპიზოდები;
- ბ) ST სეგმენტის ელევაციის ეპიზოდები;
- გ) სუპრავენტრიკულური არიტმიების ეპიზოდები;
- დ) მარცხენა პარკუჭის სისტოლური გადაძაბვის ეპიზოდები.

284. სტენოკარდიით შეპყრობილი ავადმყოფების 24 საათიანი ეკგ მონიტორინგის მეთოდის დიაგნოსტიკურ შესაძლებლობაზე მოქმედებენ შემდეგი ფაქტორები: 1). გამოკვლევის პერიოდში ავადმყოფის აქტივობა; 2). მედიკამენტების მიღება; 3). ფიზიკური დატვირთვისადმი ტოლერანტობა.

- *ა) ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 1, 3;
- დ) სწორია 2, 3.

285. გილ-ის დიაგნოსტიკისთვის ლობირებული ფიზიკური დატვირთვის სინჯის სპეციფიურობა ყველაზე მაღალია:

- ა) ქალებში;
- ბ) ახალგაზრდა მამაკაცებში;
- *გ) საშუალო ასაკის და ხანდაზმულ მამაკაცებში;
- დ) ახალგაზრდა მწვეველ ქალებში.

286. ველოერგომეტრული სინჯის ჩატარების შეწყვეტის კლინიკური კრიტერიუმებია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) სტენოკარდიის შეტევის განვითარება;
- *ბ) არტერიული წნევის დაქვეითება საწყის მაჩვენებელთან შედარებით 5-10%-ით;
- გ) არტერიული წნევის გაზრდა 230/130 მმ.ვწყ.სვ. და მეტად;
- დ) ძლიერი ზოგადი სისუსტის განვითარება;
- ე) მკვეთრად გამოხატული ქოშინი;
- ვ) თავბრუსხვევის, ძლიერი თავის ტკივილის, გულის რევის შეგრძნების განვითარება.
- ზ) ავადმყოფის სურვილი შეწყვიტოს სინჯის ჩატარება;
- თ) გულის შეკუმშვის მაქსიმალური და სუბმაქსიმალური სიხშირის მიღწევა.

287. ფიზიკური დატვირთვისადმი ტოლერანტობას აფასებენ:

- *ა) ცლის შეწყვეტის მომენტში დატვირთვის სიმძლავრით - (მაქსიმალური დატვირთვის სიმძლავრე);
- ბ) ცლის შეწყვეტის მომენტში გულის ცემის სიხშირით;
- გ) ცლის შეწყვეტის მომენტში არტერიული წნევის ღირებით;
- დ) ცლის შეწყვეტის მომენტში ზოგადი თვითშეგრძნებით.

288. ველოერგომეტრული სინჯის ჩატარებისას იშემიის დიაგნოსტიკური კრიტერიუმებია (დადებითი ველოერგომეტრული სინჯი) - ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) მოცემული ავადმყოფისათვის გიპური სტენოკარდიული შეტევის განვითარება;
- ბ) RS-T სეგმენტის ღებრის ან ელევაცია 1მმ-ზე მეტად;
- გ) არტერიული წნევის დაქვეითება 25-30%-ით;
- დ) R კბილის დაკბილება;
- ე) გულის რიტმისა და გამტარებლობის სხვადასხვა ტიპის დარღვევების განვითარება;
- *ვ) T კბილის გამოხატული ცვლილებები.

289. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია სწორი დიპირიდამოლის სინჯის ჩატარებასთან მიმართებაში: 1). დიპირიდამოლის სინჯის ჩატარება რეკომენდებულია ფიზიკური დატვირთვის სინჯის უკუჩვენების შემთხვევაში; 2). დიპირიდამოლის სინჯის ჩატარება ეფუძნება ამ პრეპარატისთვის დამახასიათებელ ე.წ. "მოპარვის ეფექტის" გამოვლინებას; 3). დადებითი დიპირიდამოლის სინჯის კრიტერიუმად ითვლება ეკგ-ზე RS-T სეგმენტის ღებრის ან ელევაციის გამოვლინება.

- *ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 1, 3;
- დ) სწორია 2, 3.

290. მიგრალური სარქელის ნაკლოვანების არსებობისას ეკგ-ზე შეიძლება გამოვლინდეს ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) მარცხენა წინაგულის ჰიპერტროფიის ნიშნები;
- ბ) მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიის ნიშნები;
- გ) მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტროფიის ნიშნები;
- *დ) მარჯვენა წინაგულის ჰიპერტროფიის ნიშნები.

291. როული მიგრალური მანკის არსებობისას შეიძლება გამოვლინდეს შემდეგი ეკგ ნიშნები:1). მარცხენა წინაგულის ჰიპერტროფიის ნიშნები;2). მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიის ნიშნები;3). მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტროფიის ნიშნები;4). მარჯვენა წინაგულის ჰიპერტროფიის ნიშნები.

- ა) ყველა ჩამოთვლილი;
- *ბ) სწორი 1, 2, 3;
- გ) სწორია 1, 3, 4.

292. აორტული სტენოზის შემთხვევაში ეკგ-ზე შეიძლება გამოვლინდეს ყველა ჩამოთვლილი ნიშანი, გარდა:

- ა) მარცხენა პარკუჭის მკვეთრი ჰიპერტროფიის ნიშნები;
- ბ) მარცხენა პარკუჭის სისტოლური გადაძაბვის ნიშნები;
- გ) პისის კონის მარცხენა ფეხის არასრული ბლოკადის ნიშნები;
- დ) პისის კონის მარცხენა ფეხის სრული ბლოკადის ნიშნები;
- *ე) მარცხენა წინაგულის ჰიპერტროფიის ნიშნები.

293. აორტული სარქველების ნაკლოვანების შემთხვევაში ეკგ-ზე შეიძლება გამოვლინდეს ყველა ჩამოთვლილი ნიშანი, გარდა:

- ა) მარცხენა პარკუჭის მკვეთრი ჰიპერტროფიის ნიშნები;
- ბ) მარცხენა წინაგულის ჰიპერტროფიის ნიშნები;
- *გ) მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტროფიის ნიშნები;
- დ) მარცხენა პარკუჭის სისტოლური გადაძაბვის ნიშნები;
- ე) პისის კონის მარცხენა ფეხის არასრული ბლოკადის ნიშნები.

294. სამკარიანი სარქველის ნაკლოვანებისას ვლინდება ყველა ჩამოთვლილი ეკგ ნიშანი, გარდა:

- ა) მარჯვენა წინაგულის ჰიპერტროფიის ნიშნები;
- ბ) მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტროფიის ნიშნები;
- *გ) მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიის ნიშნები;
- დ) პისის კონის მარჯვენა ფეხის სრული ან არასრული ბლოკადის ნიშნები.

295. კომბინირებული მიგრალურ-ტრიკუსპიდური მანკის (მიგრალური ხერხელის სტენოზის და სამკარიანი სარქველის ნაკლოვანება) ეკგ ნიშნებია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) მარჯვენა წინაგულის ჰიპერტროფიის ნიშნები;
- ბ) მარცხენა წინაგულის ჰიპერტროფიის ნიშნები;
- გ) მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტროფიის ნიშნები;
- *დ) მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიის ნიშნები.

296. მწვავე ფილტვისმიერი გულის ეკგ ნიშნებია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) Q(III) - S(I) ნიშანი (QR(III) და RS(I));
